გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 1
(11 867)

11. – 13 იანვარი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- სპორტსმენისა და იუნკერის შალვა ერისთავის გმირობა
- კონკურსი სპორტის აკადემიაში
- სეოკ-ის ახალი ეპოქის დასაწყისი
- ქართული ფეხბურთის იანვრის სარკმელი
- გაიოზ ჯეჯელავა-90
- მიხეილ მესხის გახსენება
- გაისონს კომპენსაციობა სურს
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

კონცეფცია
ნუ ვაქცევთ სასურველს რეალობად...

გულდასმით გავეცანით „საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფციის" პროექტს, რომელიც განსახილველად გამოქვეყნდა პრესაში. ამთავითვე ვიტყვით, რომ დიდი შრომაა გაწეული, კარგადაა დანახული, გაანალიზებული და წარმოჩენილი ქართული სპორტის პრობლემები. ამომწურავი, თეზისური პასუხია მრავალ კითხვაზე გაცემული. ვფიქრობთ, ჩვენი შენიშვნა სულაც არ დააკნინებს კონცეფციის პროექტის ღირსებას. შევეხებით მხოლოდ პირველი თავის იმ ნაწილს, სადაც სასურველი წარმოდგენილია რეალობად.

„სპორტში გარკვეული პოზიტიური ღონისძიებები განხორციელდა: შეიქმნა სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების სისტემა, რომელთაგან პრიორიტეტით სარგებლობს ეროვნული ჩემპიონატები და პირველობები" — ვკითხულობთ პროექტში.

რა ვქნათ, თავი მოვიტყუოთ და დავეთანხმოთ ამ შეფასებას? არა და არა. ვინ თქვა, რომ შეიქმნა რაღაც ისეთი სისტემა, რომელიც „ძველს, დრომოჭმულს" წარმატებით ჩაენაცვლა. რა სისტემაზეა ლაპარაკი? იქნებ ხალხი ვერ ხედავს და მართლა პრიორიტეტით სარგებლობს ეროვნული ჩემპიონატები და პირველობები. როგორ გეკადრებათ! ადგეს, დაითვალოს ვინმემ რამდენი ეროვნული ჩემპიონატი და პირველობა ჩატარდა ბოლო 10-15 წელიწადში და შეადაროს ადრინდელს. რა პრიორიტეტზეა ლაპარაკი, როცა სპორტის მთელ რიგ სახეობებში, მათ შორის ეროვნულშიც (ცხენოსნობა, ლელობურთი და ა.შ), საქართველოს ჩემპიონატები და პირველობები დავიწყებას მიეცა. სპორტის რამდენი, თუნდაც, ოლიმპიური სახეობაა, რომ ეროვნულ დონეზე აღარანაირი შეჯიბრებები არ იმართება. არ ფინანსდება და იმიტომ. შესაბამის ფედერაციებს ავალებენ მოიძიონ სახსრები და ჩაატარონ. მოძიება კი როგორი „იოლიცაა" ყველას კარგად მოეხსენება.

ვფიქრობთ, კონცეფციის ზემოთ ციტირებული ტექსტი ასე უნდა შეიცვალოს: **„სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების სისტემის სრულყოფაში პრიორიტეტი ენიჭება ეროვნულ ჩემპიონატებსა და პირველობებს".** თორემ რა გამოდის, თუ ისე დარჩა, როგორც ეს პროექტშია, ყველაფერი უკვე მოგვიგვარებია, სისტემა შეგვიქმნია და პრიორიტეტიც გაგვისაზღვრავს...

„ლელოს" რედაქციასთან შექმნილი კონცეფციის გამაანალიზებელი ჯგუფი.

P.S. ვთხოვთ ყველას, ვინც დაინტერესებულია კონცეფციის პროექტის სრულყოფით და შესაბამისად საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების ბედით, მიიღოს მონაწილეობა „ლელოს" რედაქციასთან შექმნილი ჯგუფის მუშაობაში. ცნობისთვის დარეკეთ: 99-56-14; 899 55 48 97.

ისმინეთ!..

ევროპელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხება არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოვება მთელი განძი ეროვნულ ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომელნიც დავიწყებულია და აღდგენას ელის. მათი აღდგენა ახალ ფერადს შეიტანს ჩვენს ეროვნულ კულტურაში, ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილამაზესა და სიჯანსაღეს დაუბრუნებს.

გერონტი ქიქოძე

მივდივართ ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალზე!

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისიდან იღებს სათავეს, ტარდება როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის სპორტის სახეობებში. სამწუხაროდ, ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე წლევანდლამდე, მიზეზთა და მიზეზთა გამო ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთხელ იასპარეზეს (1977 წ).

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ წლევანდელ ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოდან ბაკურიანელ გრიშა ასლანიანის ოთხი აღსაზრდელი იასპარეზებს — **ანა აბრამაშვილი, იასონ აბრამაშვილი, ლაშა ცირეკიძე, ვახტანგ თედიაშვილი** (ოთხივე — სამთოთხილამურებში) და **ელენე გედევანიშვილი**, რომელიც მოსკოვში ოსტატდება ფიგურულ ციგურაობაში.

შეჯიბრებას შვეიცარიის სამთო კურორტი მანტეი უმასპინძლებს 22-29 იანვარს.

საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**, ოლიმპიურ სოფელში მისიის თავკაცია **გიორგი ესაკია.** დელეგაციის დაფინანსება საქართველოს ოლიმპიური ფონდისა და სეოკ-ის პრეზიდენტის **ბადრი პატარკაციშვილის** დახმარებით გახდა შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის უკვე დაიწყო სალიცენზიო ტურნირები. ელენე გედევანიშვილი მხოლოდ 14 წლისაა და ჯერ ვერ იბრძოლებს ოლიმპიური ლიცენზიისთვის ასაკის სიმცირის გამო.

ბაკურ გოგიტიძე ფალავანთა გზის დალოცვას იწყებს

წლეულს, ჭიდაობის მსოფლიო სამყაროში, თანაც სულ მალე, ახალი ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც რომში 14-15 იანვარს გამართულ ფილა-ს თავყრილობაზე გაცხადდება. აქ სპეციალური სემინარი მიეძღვნება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალი წესების დანერგვის განხილვას, რათა სპორტის ამ უძველესმა სახეობამ თანამედროვეთა თვალში არ დაკარგოს სანახაობრიობა და აზარტი. ჯერჯერობით მეტს არაფერს ვიტყვით, დაველოდოთ ცნობებს რომიდან.

ამასობაში თავისუფალი სტილით ქართველ მოჭიდავეთა მომავალი — ჭაბუკთა ნაკრები, ბაქოში იასპარეზებს თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში.

„ფაქტობრივად, ამ ასპარეზობით იხსნება ქართველ მოჭიდავეთა ახალი წლის სპორტული სეზონი. ტურნირს ჩვენი ფედერაცია აფინანსებს. ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ბაკურ გოგიტიძეც** ამ ასპარეზობით იწყებს საერთაშორისო სარბიელზე ქართველ ფალავანთა გზის დალოცვას" — თქვა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა.**

ახლა კი გაგაცნობთ იმათ, ვისაც ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** ბაქოში საასპარეზოდ უხმო. ესენია: კონსტანტინე მაისურაძე (46 კგ), გიორგი ედიშერაშვილი (50), მურთაზ კვესაძე (58), გიგა ცერცვაძე (63), გაგა სამხარაძე და გოჩა ლომთათიძე (ორივე — 69), თორნიკე სვანიძე (76), დაჩი ქერაშვილი, დავით მოძმანიშვილი (ორივე — 85), ზაალ მარტიაშვილი (100).

იასონ აბრამაშვილის წარმატებული დასაწყისი

წარმატებით დაიწყო ახალი სპორტული სეზონი საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სამთომეთხილამურემ, ბაკურიანის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ **იასონ აბრამაშვილმა** ინგლისის 2005 წლის ღია პირველობაში იუნიორთა შორის, რომელიც ავსტრიის ქალაქ ალბახში ჩატარდა, 90-მდე უძლიერესმა იუნიორმა მოიყარა თავი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. შეჯიბრების ორგანიზატორების მიზანიც ეს იყო — სტარტზე გაცილებით მეტი მონაწილე გამოვიდოდა, თუ ღია პირველობა ავსტრიაში გაიმართებოდა. ასპარეზობის პირველ დღეს ქართველმა მეთხილამურემ პირველობა არავის დაუთმო სპეციალურ სლალომში, მეორე დღეს კი გიგანტსლალომში მეოთხე ადგილს დასჯერდა, შემდეგ კვლავ გიგანტსლალომში იასპარეზა ყინულოვან ტრასაზე და სენსაციაც მოახდინა — საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა. ასე რომ, ორი პირველი და ერთი მეოთხე ადგილი ბრწყინვალე შედეგია ბაკურიანელი ყმაწვილისთვის, რომელიც მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი საიმედო კანდიდატია საქართველოს ნაკრებში. იასონი ბაკურიანის სათხილამურო სპორტული სკოლის აღსაზრდელია და ცნობილი მწვრთნელის გრიშა ასლანიანის ხელმძღვანელობით გაიკვლია გზა დიდ სპორტში. საქართველოს ნაკრებში კი მისი მწვრთნელი გერა აბრამაშვილია.

წინ იუნიორთა მსოფლიო პირველობაა იტალიაში!

ჯაბა გელაშვილი უცხოურ ტრასებს უშინაურდება

ჩეხეთის ზამთრის კურორტი პოდსნეჟიკა ღია პირველობას მასპინძლობს სამთომეთხილამურე ჭაბუკთა შორის. ასპარეზობა ტარდება რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე წარმატებით გამოვიდა ბაკურიანელი 11 წლის ჯაბა გელაშვილი, რომელმაც პირველ დღეს, 8 იანვარს მეორე ადგილი დაიკავა სპეცსლალომში, მეორე დღეს კი გიგანტსლალომში მესამე იყო.

დავძენთ, რომ ჯაბა გელაშვილმა ამ ერთი თვის წინ პირველად იასპარეზა საზღვარგარეთ — მონაწილეობა მიიღო ჩეხეთის კურორტ ბოჟიდაროში ავსტრიულ ფირმა „ატომიკის" მიერ ორგანიზებულ ბავშვთა ტურნირში და საერთო ჩათვლაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ინფორმაციები მოგვაწოდა სოფიკო ხეთაგაშვილმა.

ცნობები სპორტული ფედერაციებიდან

◆ **საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია** რიგით მერვე ყრილობისთვის ემზადება ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტისა და გენმდივნის ვალერი ჩოლარიას ხელმძღვანელობით. სხვა პრობლემებთან ერთად განიხილება ფიფა-უეფას სამართლებრივ ჩარჩოში საქართველოს საფეხბურთო მეურნეობის მოქცევის საკითხი.

◆ **ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია** 15 იანვარს პირველ შეხვედრას გეგმავს სპეცილისტებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან. ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ბაკურ გოგიტიძე** მიწვეულთ გააცნობს ახალ პროექტებს, რომლის განხორციელებას ფედერაცია წლეულს გეგმავს.

◆ **საქართველოს ბიატლონის ახალშექმნილი ფედერაცია** სასწავლო ჯგუფებს ხსნის ბაკურიანში. ბაკურიანის საკრებულოს (თავმჯდომარე ვალიკო აბრამაშვილი) გადაწყვეტილებით ამ ჯგუფებს დააფინანსებს საკრებულო, სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ბაკურიანის საკრებულო ფინანსურ დახმარებას გაუწევს ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელებს და მოციგავეებს. შეძლებისდაგვარად თითო მწვთრნელს დაუნიშნავს ხელფასს.

◆ **ქართული ჭიდაობის ფედერაციის** გადადებული ყრილობა ჩატარდება 20 იანვარს. პრეზიდენტობის კანდიდატები არიან **გურამ სალარაძე, ალექსი დავითაშვილი და აკაკი ბორცვაძე.**

ბაკურიანის საკრებულოს გაზეთი . 2005 წელი, იანვარი № 1

გამოვიდა ბაკურიანის საკრებულოს გაზეთ „ბაკურიანის" 2005 წლის პირველი ნომერი. გაზეთი ფერადია და გამოირჩევა ბეჭდვის მაღალი ხარისხით. გთავაზობთ ბორჯომის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, საქართველოს პარლამენტის წევრის ნოდარ გრიგალაშვილის მისალმებას ამ გამოცემასთან დაკავშირებით.

გულწრფელად მივესალმები გაზეთ „ბაკურიანის" დაბადებას, რომელიც ქართული პრესის დიდ ოჯახში ახალი წლიდან მოკრძალებულ ადგილს დაიკავებს.

ღრმად მწამს, ახლო მომავალში ბაკურიანი დამოუკიდებელი საქართველოს სამთო ტურიზმისა და ზამთრის სპორტულ სახეობათა განვითარების ცენტრი გახდება.

გაზეთი „ბაკურიანი" განახლებული, აღორძინებული, კეთილმოწყობილი ბაკურიანის მემატიანე იქნება და ხელს შეუწყობს მომავალ სპორტსმენთა ფართო ასპარეზზე წარმოჩენას, მნიშვნელოვანი წვლილის შეიტანს ბაკურიანის განვითარების პროცესში.

ახალ გაზეთს, მის სარედაქციო საბჭოს დავულოცავ მწვანე გზას მკითხველთა გულებისაკენ, ვულოცავ ახალ წელს საუკეთესო სურვილებით და ვუსურვებ წარმატებებს რთულ და კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით

ნოდარ გრიგალაშვილი,
ბორჯომის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

პატივცემულო რედაქცია!

ეჭვი არ მეპარება, საქართველოში დაარსდება პრიზი — „სპორტული მამაცობისთვის". ანალოგიური ჯილდო კანადურ ჰოკეიში არსებობს.

სამარცხვინოა, მაგრამ ჩვენში ყველამ იცის თუ რა მოიმოქმედა რუსმა (სინამდვილეში თათარმა) ალექსანდრე მატროსოვმა. აი, ოცი წლით ადრე, თბილისის მისადგომებთან ტაბახმელას ფრონტზე ჩადენილი გმირობის შესახებ კი, პრაქტიკულად არავინ იცის.

მოხდა კი შემდეგი. რუსი ოკუპანტების მეთერთმეტე არმიამ და ქართველმა გამყიდველმა ბოლშევიკებმა, გამეტებით შეუტიეს ჩვენი თავდაცვის იმ მონაკვეთს, რომელსაც 118 ქართველი იუნკერი იცავდა. ბრძოლისას განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და მორბენალი 22 წლის თავადი **შალვა ერისთავი.** მრავალი ბოლშევიკი მოსპო მან ტყვიითა და ხიშტით. მოულოდნელად მტრის საცეცხლე წერტილში „მაქსიმი" აკაკანდა. მარდად აირბინა აღმართი შალვამ და რაკიღა სხვა საშუალება არ ჰქონდა, საკუთარი სხეულით ჩააჩუმა ტყვიამფრქვევი.

ეს ამბავი მთელს საქართველოს მოედო. მაშინ...

შალვა ერისთავის სახელობის პრიზი დიახაც უაღრესად საპატიო იქნება მისი მფლობელი სპორტსმენისათვის. ამ ჯილდოს მინიჭების საშუალება კი, სპორტში ყოველთვის იქნება. (გავიხსენოთ როგორ იჭიდავა მოტეხილი ნეკნით ვახტანგ ბალავაძემ).

პატივისცემით

ალექსანდრე ჟღენტი, კინორეჟისორი

რა დონის ჩემპიონატი გვაქვს?



არის მსოფლიოში ბევრისთვის ნაცნობი და ასევე ბევრისთვის უცნობი ორგანიზაცია — ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია, რომლის შესატყვისის დაფუძნება საქართველოშიც მოვიწადინეთ, მაგრამ, ჯერჯერობით, საქმე რამდენიმე საორგანიზაციო საკითხების შეთანხმებას ვერ გასწვდა (სხვათა შორის, ინიციატორად „ლელოს" რედაქცია გამოვიდა კინორეჟისორ ალეკო ჟღენტთან ერთად და შეხვედრებიც რედაქციაში შედგა).

ხსენებული მსოფლიო ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით ფეხბურთში საქართველო ეროვნული ჩემპიონატების ჩამტარებელ ქვეყნებს შორის ამ ასპარეზობის დონით 51-ე ადგილზეა მსოფლიოში. ჩვენთან ახლოს არიან შვეიცარია (52), პოლონეთი (60), ჩინეთი (65)...

პოსტსაბჭოთა სივრციდან ჩვენზე წინაა უკრაინა (18), რუსეთი (19), ლატვიის (32) და ლიტვის (39) ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები.

საქართველოს შიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს

კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

I. ბაზოგადებრივ მეცნიერებათა კათედრაზე:

1. კათედრის გამგის — 1 საშტატო ერთეული.

II. ქართული და უცხო ენების კათედრაზე:

1. კათედრის მასწავლებლის — გერმანული ენის სპეციალობის 1 საშტ. ერთ;
2. კათედრის მასწავლებლის — რუსული ენის სპეციალობით — 0,5 საშტ. ერთ.

III. სპორტმედიცინის კათედრაზე:

1. კათედრის დოცენტის — სპორტმკაცის სპეციალობით — 1 საშტ. ერთ;
2. კათედრის უფრ. მასწავლებლის — ჰიგიენის სპეციალობით — 1 საშტ. ერთ.

IV. ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე:

1. კათედრის უფრ. მასწავლებლის — ფიზიოლოგიის სპეციალობით — 1 საშტ. ერთ.

V. ჰედაგოგიკა – ფსიქოლოგიის კათედრაზე:

1. კათედრის უფრ. მასწავლებლის — პედაგოგიკის სპეციალობით — 1 საშტ. ერთ.

VI. მეტროლოგიისა და ბიომექანიკის კათედრაზე:

1. კათედრის დოცენტის — ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით — 1 საშტ. ერთ.

VII. სპორტთამაშების კათედრაზე:

1. კათედრის გამგის — 1 საშტატო ერთ;
2. უფრ. მასწავლებლის — ფრენბურთის სპეციალობით — 1 საშტ. ერთ.

VIII. ტანვარჯიშის კათედრაზე:

1. უფრ. მასწავლებლის — სპორტ-ტანვარჯიშის სპეციალობით — 1 საშტ. ერთ.

კონკურსის გადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: აკადემიის კადრების განყოფილება, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №449.

ტელეფონი — 23-09-02

ხუთი წაგება – ხუთი გაკვეთილი

თერამეტწლამდელ ფრენბურთელ გალთა ეროვნის პირველობის შესარჩევ ტურნირში, რომელსაც უნაგირები უმასპინძლა, წარმატება წილად ხვდა და შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს რესპუბლისა და უნაგირების გუნდებმა. ამ კოლექტივების გარდა ჯგუფში მონაწილეობდნენ საქართველოს, ბელგარეთის, სლოვენიისა და საბერძნეთის წარმომადგენლები.

სამწუხაროდ, გამოუცდელმა და ჯერ კიდევ არასრულფასოვანი ოსტატობის ჩვენმა გუნდმა ყველა მატჩი წააგო. ამ შედეგებია: უნაგირთა — საქართველო — 3:0 (25:8, 25:9, 25:8); საქართველო — რესეთი — 0:3 (3:25, 12:25, 12:25); საქართველო — სლოვენია — 0:3 (14:25, 10:25, 13:25); ბულგარეთი — საქართველო — 3:0 (25:9, 25:11, 25:10); საქართველო — საბერძნეთი — 0:3 (14:25, 15:25, 19:25).

ოსტატობის კანდიდატის წოდებისათვის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დასრულდება ტურნირი, რომელის მონაწილეებიც ოსტატობის კანდიდატის წოდებისათვის იბრძვიან. ბოლო ტურის წინ, 8 შესაძლებლიდან 7 ქულით ლიდერობს დაოთ სამხონაშვილი, რომელმაც უკვე შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი (ვაქებით ის 6,5 ქულს უფლის). 6,5 ქულით მეორეზეა ნოდარ ცირამუა. 6-6 ქულა აქვთ ბეგა შონიაშვილს, მიშიკო კვირტიასა და დაოთ ბაიაშვილს. ბოგორებში ნორმატივის შესასრულებლად 6 ქულის მოგროვებაა საჭირო. მიზანთან ახლოა თორ მარიამ ბაიაძე, რომელსაც 5,5 ქულა აქვს.

პირველად... დავით აღმაშენებლის თაპლზე

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (რექტორი ა. შარაშენიძე) ისტორიტეტის სახელობის თასის პირველი გათამაშება გაიმართება დავით აღმაშენებლის სახელობის ბაზაზე გალაში, ბეგრაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ლიცეუმების გუნდები. დებულების თანახმად, თითოეულ გუნდში 3 კაცი და 1 გოგონა ასპარეზობს. ტურნირი ორ ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდება – 10 წლიანებსა და უფროსი ასაკის მოჭადრაკეებს შორის. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემათ დავით აღმაშენებლის სახელობის გარდამავალი დიდი და მცირე თასები (ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით).

ზაზა ზაზაშვილის სახელობის ბოქსში ტრადიციული ტურნირი

ბოქსის ბოლო ბოლოს, საქართველოში შეიქმნა ანტდოპინგური სამყარო, ტყვოლ ეკმაკობა მონაწილეობით ჩატარდა ეროვნული დონის სპეციალობები. მაგრამ მომავალში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კერძოდ, მნიშვნელოვან პრობლემად მიეკანონა ოლიმპიური მზადების სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრის ცენტრის შექმნა, WADA-ს ეკსპერტიზა უნდა გაიარონ საქართველოს ანტიდოპინგური საგნებლის დებულებამ და სხვ.

და კიდევ ერთი, ჩვენ კარგად ვიცით, რომ სპორტის საყოველთაო კომერციალიზაციის პირობებში, ძნელია დოპინგთან ბრძოლა სამართლებრივი ბერეტების გამოყენების გარეშე. მიგვანია, რომ სერიოზული განსჯის საგნად უნდა იქცეს ქართული ორისანერედნენი, უკაშობრივად, სრულიად ახალ საკეთილობაში — სპორტულ სამართლში — კადრების მომზადების საკითხი.

ვფიქრობთ, რომ ქართული სპორტის წინსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად და ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატების ხელშეწყობ ბერატად უნდა იქცეს რეგიონ თბილისში, ისე პერსპექტიული საქართველოს სხვა ქალაქებში, მაღალი დონის საკთაშორისო კალენდრით გათვალისწინებული პრესტიჟული სპორტული შეჯიბრებების ჩატარების მწყობრი სისტემის შექმნა.

სპორტში ჭეშმარიტი ავტორიტეტის ერთადერთ საზომად ითამაშების ჩატარების თაობაზე. თუმცა კარგად გვახსოვს გაცნობიერებული მისი ჩატარების სირთულეც. კვლავ აქტუალურად გვეჩვენება შინაარსობრივად იგივე თამაშების ჩატარების საკითხი, ვთქვათ, ასეთი სათაურით „სამრეთ კაკალოის კეთილი ნების თამაშები". სახალხო დიპლომატიასთან ერთად ჩვენს რეგიონში მშვიდობისთვის ბრძოლაში და კონფლიქტების მოგვარების საკითხში, უნდა ჩაერთოს სპორტი ელპანიზში, რომელსაც ამ საკითხ თავისი ისტორიული გამოცდილება გააჩნია — ოლიმპიური ჭარტის ერთ ერთი უმთავრესი პრინციპის ხომ სპორტის მშვიდობის პრიორიტეტია.

(გაგრძელება იქნება. დასაწყისი იხ. „ლელო" №101-103, 2004 წ.)

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საანგარიშო პოსტანოვება სეოკ-ის 2004 წლის სხდომაზე

— სეოკ-ის ინიციატივით და ოლიმპიური ფონდის ფინანსური უზრუნველყოფით ოლიმპიური თამაშების გამართვის უპირველესი პირობა ის ნამდვილ ათენში სპორტსმენების გამოსვლას კარგი ფონი შეუქმნა სატელევიზიო ეთერით მრავალსერიანი ვიდეოფილმის „ათენიდან ათენამდე" დემონსტრირებამ.

ფილმის მნიშვნელობაზე და მის საზოგადოებრივ რეზონანსზე ისიც მეტყველებს, რომ მისი შემოწმებითი კოპლექტიები საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო პრემიის ნომინანტთა შორისაა;

— სეოკ-ის უზბეკეთელი ათენში „ქართული სახლის" მოწყობა და მისი ფუნქციონირება და სხვ.

მთელი ოლიმპიური ციკლის განმავლობაში სეოკ-ი იჭეა მრავალი სპორტული ფედერაციის ფილიალები, ხოლო სეოკ-ის თანამშრომლები — ფედერაციის თანამშრომლებად. ყველა საკითხის მოსაგვარებლად სპორტსმენები თუ მწვრთნელები, ფედერაციათა ხელმძღვანელები მხოლოდ სეოკ-ს მიმართავდნენ და სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყველა შეკითხვაზე სათანადო პასუხსაც ა ატეიდნენ ბულ დახმარებას ღებულობდნენ.

ერთი სიტყვით, რაოდენობრივად მეტრერიკოვანი, მაგრამ კომპეტენტურობითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეული სეოკ-ის ასპარეზობა ყველაზე ნაყოფიერად გამოიყენეს სეოკ-ის წევრებმა ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში და მათ ნამდვილად კარგად, მაღალ დონეზე გამოსცდილ დიოდათ. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენეულ ამ შეფასებას იზიარებს ყველა, ვისაც კი ერთხელ მაინც შეხვედრია ჩვენი სეოკ-ის რომელიმე თანამშრომელთან თუ მილოსანად ერთიან გუნდთან.

* * *

ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში არსებული მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ბევრად იყო განპირობებული სპორტული სტრუქტურების — პირველ რიგში კი სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის და ოლიმპიური კომიტეტის, აგრეთვე სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელთა ჰარმონიულ, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთობებიდან.

ქმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ გასულ ოლიმპიურ ციკლში ურთიერთობის სეოკ-ის და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის იყო საქმიანი და კონსტრუქციული, რომელიც შეესაბამებოდა სპორტის ინტერესებს და რომელიც უმთავრესად ორივე სპორტული სტრუქტურის პირველი ხელმძღვანელების დამსახურებაა.

ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით ქმაყოფილება, რომ სპორტის მართვის საკვლევრო სტრუქტურის ტატუნი მოგვბა. ბატონ გიორგი გაბუშეოლან და მის მოადგილესან ბატონ თამაზ თეგზაძესან თავდაპირველად ძალზე კორექტული, საქმიანი ურთიერთობა. მოგვიდავად იმისა, რომ ბატონი გიორგი სპორტის მართვაში შედარებით ახალი ხელმძღვანელია, მან უკვე ბევრის გაკეთება მოასწრო და ბინდა მადლიერებით აღვნიშნო მისი და მისი მოადგილის წვლილი იმ წარმატებაში, რომელსაც ათენში მივაღწიეთ და რომელსაც მომავალში, იმედია, კიდევაც მოვიპოვებთ.

მიგვანია, რომ მომავალშიც მხოლოდ ერთობლივად, ერთიანი ძალისხმევით, ქართული სპორტის ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება სპორტის საკეთილდღეოდ საქმეების კეთება.

თანაბარია ვა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე იყო ურთიერთობა სპორტის ოლიმპიური საბოებიის ფედერაციებთან. ყველა მათ თხოვნას, ჩვენს წინაშე დაყენებულ წინადადებას სეოკ-ი მხარიდან ჰპოვებდა ხოლმე და ოლიმპიური ჭარტიის ფარგლებში ეძებდა ამ საკითხების გადაწყვეტის გზებს. ბევრის გაგეთება შეიძლებოდა ერთობლივი ძალისხმევით, პირველ რიგში ძალოსნობის, ჭიდაობის, ძიდგის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, სპორტის ზამთრის სახეობების, ფიგურული სრიალის და სხვა ფედერაციებთან.

ასარგებლობ შემთხვევით და უკვე ჩატარებული სააგარიშო-საარჩევნო კრებების შეჯამების – გთვლისწინებთ ფედერაციათა პრეზიდენტების არჩევის ეტაპებიც – ვფიქრობთ, რომ ბაბუოლის, გოლფის ფედერაციების დიდ ბაბუოლს, გოლფი კაბედულს, თაჭა მდინარაძეს, რაშან ბურდოლს, გიორგი ჩარკვიანს, ანატოლი დავიდოვს, თენგიზ ამუდლაძეს, ბესარიონ ნადირაძეს, ბეჭურ ხერკიანებს.

ვფიქრობთ, რომ ქართული სპორტის წინსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად და ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატების ხელშეწყობ ბერატად უნდა იქცეს რეგიონ თბილისში, ისე პერსპექტიული საქართველოს სხვა ქალაქებში, მაღალი დონის საკთაშორისო კალენდრით გათვალისწინებული პრესტიჟული სპორტული შეჯიბრებების ჩატარების მწყობრი სისტემის შექმნა.

სპორტში ჭეშმარიტი ავტორიტეტის ერთადერთ საზომად ითამაშების ჩატარების თაობაზე. თუმცა კარგად გვახსოვს გაცნობიერებული მისი ჩატარების სირთულეც. კვლავ აქტუალურად გვეჩვენება შინაარსობრივად იგივე თამაშების ჩატარების საკითხი, ვთქვათ, ასეთი სათაურით „სამრეთ კაკალოის კეთილი ნების თამაშები". სახალხო დიპლომატიასთან ერთად ჩვენს რეგიონში მშვიდობისთვის ბრძოლაში და კონფლიქტების მოგვარების საკითხში, უნდა ჩაერთოს სპორტი ელპანიზში, რომელსაც ამ საკითხ თავისი ისტორიული გამოცდილება გააჩნია — ოლიმპიური ჭარტიის ერთ ერთი უმთავრესი პრინციპის ხომ სპორტის მშვიდობის პრიორიტეტია.

(გაგრძელება იქნება. დასაწყისი იხ. „ლელო" №101-103, 2004 წ.)



შეკითხვა: ვიცით, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე საქართველოს პარლამენტის დეპუტატია. გვინდა ვიცოდეთ ისიც, ჩვენმა საოლიმპიო პარტიამ ხომ დაბმარება გაუწია ამომრჩევლებს თუნდაც დეპუტატობის მეორე პერიოდში.

ვახტანგ საბაშვილი, ნუკრა ჩოხელი, რუსთავი.

პასუხი: „ლელოს" კორესპონდენტმა პარლამენტარ გ. ასანიძის, ოფიციში გაგეცხადეს, რომ უკვე გაგაჩერილია ფინანსები დასახელებული გზის პროექტზე, ამ დასახლებაში მცხოვრებ უსინათლოთა დიდ დასახლებისთვის შეიქმნა 150-მდე სახლისგან სახლის სახერხი, ქვემო ფონტანელში დღე-დღეზე მენიციპალური სამარშრუტო ავტობუსები იმოძრავებენ. მიმდინარეობს გზების კეთილმოწყობა. მოსახლეობა ქმაყოფილია თავისი რჩეულის მიერ დღემდე გაწეული საქმიანობით.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
GFF
ბენეფიციარი სპონსორი

ჩვენებური კარუსელი

ქართულ გუნდებს ტრანსფერების განხორციელების დრო დაედგათ. თვის ბოლომდე ზოგიერთი შეიცვლება და საუფრძნოდ გაძლიერდება, ზოგიერთი ისევ გადაუჭერი პრობლემებით დამძიმებული შენდება ახალ სეზონს. მანამდე მოწონებული უკვე მოსამზადებელ შეკრებებზე გადავიხედ და პირველი სპარინგებისთვის ემზადებიან. სტარსმენფერო „ფანჩერით" ყველაზე ხელგაშლილ **თბილისის „დინამოს"** ისარგებლა და კონკურენტების საუკეთესო ფეხბურთელებიც დაიმარხინა. **გია გეგუჩაძემ** გუნდი 5 იანვარს შეკრიბა. კლუბში ხუთი ახალწვეული ტორპედოელები **შოთა ბაბუნაშვილი** და **გია მეგრელაძე**, სპარტაელი **კოხა ზაალიშვილი**, ვიტესი ლაშა **ნოხაძე** და უცარიანიდან დაბრუნებული **ლაშა ჭელიძე**. გუნდიდან, ალბათ, წვეულ **გონწაროფი** და **ახალგაია**. ახალი ფეხბურთელების მოძიება გაგრძელდება. სეზონის განახლებამდე კი დინამოელები ძალებს სატრანსფერო ტურნირში გამოცდიან.

5 იანვარს შეიკრიბა **თბილისის „ლოკომოტივიც"**. რკინიგზელთა რიგებში სერიოზული ცვლილებებია. გუნდიდან წვეიდა მთავარ მწვრთნელი **ზაურ სვანაძე**, მისი ადგილი კი სელექციონერმა **ჯემალ ჩიმაკაძემ** დაიკავა, რომელიც ტაშკენტის დინამურის სტატუსით იმუშავებს, მას **ნოდარ აკობია, ავთანდილ ბერიძე** და **მამუკა აბუსერიძე** დაეხმარებიან. საწყის ეტაპზე რკინიგზელები თბილისში მოემზადებიან. გუნდი ძირითადად საკუთარი აღზრდილებით შეივსება. **მ. და ი. ჭელებაძე, ზ. ჩალაძე, დავითაშვილი, ფოფხაძე, სეთურიძე და თუთბერიძე**, მათ დაემატება სამი ბრაზილიელი, „პარანას" ყოფილი ფეხბურთელები — **ჟილნი, ჯოზლოსკი, რამონი** და კიდევ რამდენიმე აღგილობრივი ფეხბურთელი. ფაქტობრივად, „ლოკომოტივი" ახლიდან დაკომპლექტდება, რადგან ლეგიონერ წამსულელთა რაოდენობაც საკმაოა, თანაც უმეტესად ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები — **ბობოხიძე, გოგობერაშვილი, ბათიაშვილი, სოსელია, სანიკიძე, ბურდული, მახვილაძე, ბაქრაძე, ლაცაბიძე, სიჭინავა** და **რ. ონიანი**.

თითქოს დაშლის პირას მყოფი **ბოლნისის „სიონი"** ახალი სეზონისთვის მზადებას უცვლელი შემადგენლობით დაიწყებს. **გიორგი ყიფშიძის** გუნდიდან არაფერ წასულა. კლუბს ქალაქის გამგეობა და „მაღნეული" მიხედას. მათი შემწეობით გუნდი სრულფასოვნად მოეზადება. დასაწყისში ბოლნისელები ბაკურიანში წავლენ, მერე კი თურქეთ ანთალიასეკენ გაემგზავრებიან.

ქუთაისის „ტორპედოც" მეტნაკლებად ცვლილებებით ხვდება სეზონს. სტურუას მაგიერ იმერელთა კარს ყოფილი ვიტესი **მერლანი** დაიცავს. **მეგრელაძის, ბაბუნაშვილის და ს. თოდუას** მაგიერ, გუნდში მოვლენ კოლხი **ძოძუაშვილი**, ბათომელი **ჩიკვანაძე**, ერთი ყურანელი და ორი რუსი ლეგიონერი.

სერიოზულად ძლიერები **„ზესტაფონი"**. გუნდში თავი მოიყარა არაერთმა კარგმა ფეხბურთელმა. ყურანელის იმერულს შეუერთდნენ — **ქ. ჩხეტიანი** და **ონანაძე**, ფოთიდან ქვაჩახია და **ღონღაძე**. კლუბი შეიძლება შეავსონ: **იმედაძემ, ბუხუტამ, ხტურუამ, მახვილაძემ, ბალაშვილმა, ზ. ჩხეტიანმა**, ნიგერიელმა და არგენტინელმა ფეხბურთელმა, **კობიაშვილმა, ბაქრაძემ, ლაცაბიძემ, სიჭინავამ, რ. ონიანმა, ს. თოდუამ, დარჩიძემ და გონჩაროვმა**.

ქვეყნი ახალი დამოიგებიათ, იტალიელი **ჯანი კარნევალიით** დაიმოძღვრება ქუთაის ჩემპიონი „ეტე ჯორჯია". კარნევალის თანაშემწედ **ზურაბ ბერიძემ** გუნდი ჭერ კიდევ ახალწლებამდე შეარხა. ვიტესებმა მზადების პირველი ეტაპი 25-30 დეკემბერს გაიარეს. მეორე ეტაპი კი 8 იანვარს დაიწყეს. ლოკომოტიველთა მსგავსად ვიტესთა გუნდიც შინაური რეზერვით გაძლიერებაა. ფარკლუბიდან მოვიდნენ: **ცხომარია, ნათოძე, მაღლიაკი, კვახაძე, გ. დათუნაშვილი.** გუნდიდან წავიდნენ: **მერლანი, ნოზაძე,** ადამია და **კობიაშვილი.** 27 იანვრიდან 10 თებერვალამდე ვიტერიანარები ანთალიაში ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ.

მოსკოვის, თანამგზავრობის ქვეყნის ჩემპიონთა თასის გათამაშებისთვის ემზადება **„თბილისი"**. ტურნირი მონაწილეთა სია რუსეთში უკვე გაგზავნილია. ახალ სეზონში თბილისელთა ღირსებას აღარ დაიცავენ: **დვალაძე, აფცაური, ხოჯავა, გოგუა, ს. იაშვილი** და **გ. კვარაცხელია.** შემსულელთა მოძიება კი ინტენსიურად მიმდინარეობს. **ცაკარიასის** არჩევანი შეიძლება **გრიშკაშვილზე, ახალაიაზე, გასელ აფორმაზე,** ნიგერიელ და არგენტინელ ფეხბურთელებზე შეჩერდეს. ლეგიონერთა უმეტესობა გუნდს მეორე ეტაპზე ამთავრებენ შეკრებაზე. მოსკოვს მე-12 ტურნირს, „თბილისი" „ბ" ჯგუფში, 17 **იანვარს,** ყირგიზეთის ჩემპიონთან „ალგიტასთან" მატით დაიწყებს, **18 იანვარს** ლატვიის უპირველეს გუნდს „სკონტო" დაუპირისპირდება, **20 იანვარს** კი ჯაზხეთის „არტაშ" ეპაერება. შეთხვედრები **21 იანვარს** ბახეთართანაც და **23 იანვარს** გაიმართება. ფინალური მატჩი კი 25 იანვარს ჩატარდება სპორტკომპლექსში „ოლიმპიისკინი".

ქორდანია, ჩოლარია მოსკოვში

დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონების შერკინებამდე მოსკოვი ფეხბურთის ფედერაციათა მესვეურებს უმასპინძლებს. 14-15 იანვარს, რუსეთის დედაქალაქ ფიფასა და უეფას პრეზიდენტები ბლატერი და იოჭანსონი ეწვევიან და ყოფილი საბჭოეთის ფეხბურთის ლიდერებს საპრობლემო საკითხებზე დაელაპარაკებიან. შეხვედრას დაესწრებიან ქართული ფეხბურთის თავკაცები — პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენმდივანი ვალერი ჩოლარია.

პრემიერებს ჩვენთან თამაში სურთ

საქართველოს პრემიერ ნაკრებს წლევანდელი სათამაშო კალენდარი ერთობ გადატვირთული აქვს. 9 თებერვალს, ლატვის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ, მარტიდან ოქტომბრამდე, სეზონის პოლომდე, ჯირკვის შეგირდები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის II ჯგუფში რვა ოფიციალურ მატჩს გამართავენ. ფაქტობრივად, ამხანაგური შეხვედრებითვის **„ფანჯარა"**, არც ერთება, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, პოლონეთიდან ცნობა მოსულა ამხანაგური მატჩის გამართვის სთაპაზობენ. ფეხბურთის ფედერაციის გენმდივნის ვალერი ხოლარიას განმარტებით, თათამაშებს თუ არა პოლონეთში საქართველოს ნაკრება, ჯირკვსთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდება. საქმე იმაშია, რომ ეს თარიღები ფიფას ოფიციალურ სათამაშო კალენდარში არ შედის. თანაც, ჩვენებურებმა 4 თვნების ადრანდეთ თამაშობენ ბრიგელის გუნდთან. თუ ნაკრებს თავკაცები აღმასრულებთან მატჩამდე პოლონელებთან თამაში დაყაბულდნენ, მაშინ, სლავები საქართველოს სპასუხო ვიზიტით უკვე გაისად ეწვევიან.

მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დამდეგიდან 90 წლისთავის იუბილეს ულოცავს თბილისის „დინამოს" პირველ თაობის ვეტერან ფეხბურთელს სარკო ჩემპიონატების ოთხგზის პრიზიორს **გაიოზ ჯიჯელავას.**

* * *

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი 90 წლისთავის იუბილეს ულოცავს თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელს **გაიოზ ჯიჯელავას.**

სეზონისთვის მსაჯებიც ემზადებიან

დღეს, ეროვნული ნაკრების ბაზაზე მწვრთნელთა კურსების მსაჯები ჩაეწყვებიან. მსაჯთა აკადემიისა და ასოციაციის 40 მსაჯი აკადემიის კურსების გაიელის და კლუბებთან ერთად ახალ სეზონისთვის მოემზადება. თეორიულ მეცადინეობებს პრაქტიკულები შეეწყვება. დამატებითი მეცადინეობა შაბათ დღეს ჩატარდება. იანვრიდან და თებერვალში თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობით მომზადებული მსაჯები გამოცდებსაც ჩააბარებენ. მსაჯ-ინსპექტორებისთვის, საგამოცდო სესია — ტესტირება 11 თებერვალს ჩატარდება. თეორიულ-პრაქტიკულ სწავლებას ჩუენებური მსაჯთა კორპუსი 14 თებერვლამდე მოარჩენა, მერე კი სეზონი სათასო პაექრობებით გაიხსნება.

ქართულ – აზერბაიჯანული სამსაჯო როქი



საერთაშორისო საფეხბურთო გასცილით წესების გათვალისწინებით, ქართველები და აზერბაიჯანელები სანაკრებო დონეზე მსაჯებს გაეცილებან. 9 თებერვალს, ბაქოში, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს ქართველი მსაჯები გაუძღვებიან — **ლევან ფანიაშვილი, კობა გაბრიაძე** და **გოჩა ცირიკიძე.** იმავე დღეს, თბილისში საქართველოსა და ლატვის ეროვნული გუნდების პაექრობას აზერბაიჯანელი ფიფას არბიტრი **ზაურაბ გადღეცი** მოემსახურება.

საფეხბურთო „სპეციალისტი" ვირტუოზი გაიოზ ჯიჯელავა – 90

ქართული ფეხბურთის ფლაგმანის — თბილისის „დინამოს" მოთამაშეები ყოველთვის გამორჩეულნენ მათთვის დამახასიათებელი საკუთარი ხელწერით. მოგონებათა საკრებიდან მინდა მოვუხმო ომისშემდგომი გუნდის სწორედ ასეთ ვარსკვლავებს, „ფეხბურთის კარუზოზ" შერაცხულ ბორის პაიჭაძეს, განვმარტებული თეორემებრივი დარტყმების უზადო შემსრულებელი მიხეილ ბერძენიშვილის, მფრინველი მეკარე ელადი ბარალიას და მრავალი სხვათა სახელს. ამ თაობის ღირებული თამდამსწრეთა რიგებს განეკუთვნება ბრწყინვალე სამხედრო-სპორტული ოსტატობით გამორჩეული, საცილო ფინტების დიდოსტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გაიოზ ჯიჯელავა, რომელსაც 11 იანვარს დაბადების 90 წელი შეუსრულდება.

გაიოზ ჯიჯელავა 1915 წელს დაიბადა. მიიღო უმაღლესი განათლება. 1931 წელს ფეხბურთის თამაში თბილისის საორთმპავლო დესის კლუბ „ლეკოდაშირში" დაიწყო. 1935-36 წლებში ნიჭიერ თავდამსხვერ თბილისის „ლოკომოტივში" იწყებდა. 1937-48 წლებში იგი თბილისის „დინამოში" გამოდის, სადაც 133 მატჩი თამაშობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში და 63 ბერთი გაიტანა. 1939 წელს მეორე ადგილი ხვდა მშობლიური გუნდის შემადგენლობაში, ასეთსავე წარმატებას მიაღწია 1940 წელსაც, როცა დინამოელებმა მეორე ადგილი დაიკავეს. 1946 და 1947 წლებ დინამოელებმა მესამე ადგილი დაისაკუთრეს, რაშიც ლომის წილი შესანიშნავმა მარჯვენა გარემარშმა გაიოზ ჯიჯელავამაც შეიტანა. ომისწინა წლებში, კერძოდ, 1938 წელს საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა 55 საუკეთესო მოთამაშის სია, სადაც №1 მარჯვენა გარემარშად დასახელებულია 23 წლის თბილისის „დინამოს" ლეგენდარული თამდამსწრე გაიოზ ჯიჯელავა. ფედერაციის მიერ 1970 წელს გამოცემულ საფეხბურთო ცნობარში იგი ბრწყინვალე სასტატო სიჩქარის მოთამაშე, ცრუ მოძრაობათა მოეული ქასქადის მჭრელ, გამორჩეული დრიბლინგითა და უზადოები ტექნიკით. ჩემი მხრიდან მინდა დავამატო, რომ ბატონ გაიოზი და იმდროინდელი კიდევ ერთი ლეგენდარული თამდამსწრე პეტრე (პეკა) დემიტრეიკი, არასოდეს უყურებენენ ბერთის, მაყურებლებს ისეთი შთაბეჭდილება გაუჩნდათ, თითქმის მრგვალი სადინი უხილავი ძაფით იყო მიბმული თამდამსწრეთა ბუცთან. ასეთივე თვისებით გამოირჩეოდა 60-იანი წლების თბილისის „დინამოსა" და ლონდონის 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნინაწილ ნახარჩევლი საკუთარი ჯარის სპორტის ოსტატი. „გაგრელი სოკრატი" — გიორგი სიჭინავა („ჩორანა") ბატონ გაიოზის სრული სპორტული დოსიეს შემდგომ აბზაცში ვკითხულობთ, რომ დიდი სარბიელიდან წასულის შემდეგ, სამწვრთნელო მუშაობას განაგრძობდა ლეგენდარულ 35-ე ბიგშია და მოზარდთა საფეხბურთო სკოლაში, თბილისის „კლუბებში — „სპარტაკში", „ლოკომოტივში", 1949-1951 წლებ წერთნილი მოსკოვის სამხედრო — საპორო ძალთა ფეხბურთელთა გუნდს, რომელშიც ქართველ ბომბორეი, ანატოლი აკოიური და სხვა ვარსკვლავები ანთამდნენ. 1956-1957 წლებში სათავეში ედგა თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კოლექტივს. დაჯილდოებულია „სპატიო ნიშნის" ორდენით, არის ჩინებული ნაშრომების „ქართველი ფეხბურთელები ირანსა და რუმინეთში" ავტორი.

ისტორიული მატჩი

ბატონი გაიოზ ჯიჯელავა ძალიან ხშირად სტუმრობდა გაზეთ „თბილისს" რედაქციას. მას გასაოცარი ნიჭი ჰქონდა. დეტალურად გვიყვებოდა გარდასული წლების ამბებს. როგორც ინფორმაციისა და სპორტის განყოფილების ლიტერატურულ თანამშრომელს, ძალიან მაინტერესებდა 1939 წლის 18 ნოემბრის თბილისში ლეგენდარული მატჩი თბილისის „დინამოს" სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის კლუბ ლეგენდარული მატჩი მოსკოვის ცდა-სთან, რომელსაც მასპინძლები — 2-4 აგებდნენ, ხოლო სპორტიდან 5-4 მოიგეს. ქართველმა მაყურებელმა იგი ისტორიულ გამარჯვებად მონათლა. (ეს მატჩი არ მინახავს, რადგან მხოლოდ 9 წლისა გახლდით), მინდა შემოგთავაზოთ ბატონ გაიოზის ნაამბობი, რომელიც უფრო დეტალურად არის მონათხრობი ვალერიან მამუკელაშვილის ჩინებულ წიგნში — „გაიოზ ჯიჯელავა". „პირველი ტაიმი 4-1 დასრულდა არმიელთა სასარგებლოდ. შესვენებაზე დაფრენებული წავედით, დანა პირს არ გვიხსნიდა. სპორტში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასეთი ანგარიშით წაგება სამარცხვინოა. ზოგიერთმა მაყურებელმა, ჩვენდა გასაკვირად, სტადიონიც დატოვა. მწვრთნელს, მიხეილ ბუტხუზოვს უკმაყოფილების გამოხატველი არც ერთი სიტყვა არ დასცდენია, პირიქით, გაგვამხნევა, დაშვებულ შეცდომებზე მიგვითითა და გვირჩია ადგილები შეგვეცვალა — მოწინააღმდეგე ხშირად დაგვებნა. უნდა აღვნიშნო, რომ ამ სიახლეს დიდი ხანია ვემზადებოდით და ხელსაყრელ მომენტს ვეძებდით. მთელ მინდორზე სწრაფი მანევრებით და ადგილების შენაცვლება — აი ის, რაც არმიელებისათვის უნდა დაგვებინებინა. ვიღაცამ ამბავი მოიტანა — მოსკოველებმა დემპმა გაგზავნეს, 4-1 ვიგებთ და თუ დაგვჭირდა კიდევ გავდანთო. ცდებო მოგვეყოდა. მიხეილიჩმა

Ის. 30-ა 33.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამხმარის უცხადებს სფფ-ს მარკეტინგის და სპონსორებთან ურთიერთობის მენეჯერს გია შარიქაძეს მამის

ნოდარ შარიქაძის

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: 11 იანვარს, 14 საათზე. მისამართი: წინამძღვრიშვილის (ლესია ცეტკინის) 137 – ა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამხმარის უცხადებს ბორჯომის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს დავით შარიქაძეს მამის

ნოდარ შარიქაძის

გარდაცვალების გამო

„ქართული ფეხბურთის"
რედაქტორი
ვისილი საბანაძარიშვილი

საფეხბურთო „სპექტაკლის“ ვირტუოზი

მესამე გვერდიდან

დით და მაშინვე სხვადასხვა ადგილებზე დავიწყეთ თამაში.

ასლან ხარბედიამ ცენტრში გადაინაცვლა, პაიჭაძემ მარჯვენა გარემარბის ადგილი დაიკავა, მე მარცხნივ დავიწყე თამაში. ბორისი, როგორც შეტევების ორგანიზატორი, ხან მინდვრის სიღრმიდან იწყებდა იერიშებს, ხან ქარიშხალივით საჯარიმოში მიმოქროდა. მეტოქეს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა უხეშობისა, რის გამოც სამართლიანად დაისაჯნენ თერთმეტმეტრიანით. მიშა ბერძენიშვილმა ბურთი თეთრ ნიშნულზე დადო, გამოქანდა, ფეხი მოიქნია და მეკარე ლეონოვმა კარის მარჯვენა კუთხისაკენ გააკეთა ნახტომი. მაგრამ რა იქნა ბურთი? ნუთუ ხელებშუა ისე გაუძვრა, რომ თითებითაც ვერ შეეხო? არა, ასე არ დამართია გამოცდილ გოლკიპერს. ტრიბუნებზე მაყურებელთა სიცილ-ხარხარმა გამოაფხიზლა დაბნეული ლეონოვი, თავი მიატრიალა და დაინახა როგორ მიემართებოდა ბურთი მარცხენა კუთხისაკენ — 4-2. ათი წუთის შემდეგ ბორიამ მარცხენა ინსაიდის ადგილიდან წამოიწყო შეტევა, ბურთი ასლან ხარბედიასთან გაჩნდა, მანაც შეუჩერებლივ დაარტყა და ანგარიში 4-3 გახდა. ტრიბუნებზე ტაში ჯერაც დამცხრალი არ იყო, თვალი შევავლე შურდულივით მქროლავ ხარბედიას. ბურთი მაშინვე გავუგორე და 4-4. ახლა საჭირო იყო დამაგვირგვინებელი აკორდი — მეხუთე გოლი. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, მარჯვენა გარემარბის ადგილიდან ცენტრში გადავინაცვლე. ჩემს წინ ორი მცველი იდგა, ერთი მათგანი ცრუ მოძრაობით ჩამოვიტოვე უკან, მეორეს ხელის მოძრაობით ვანიშნე, თითქოს მარცხნივ ვაწვდიდი, სინამდვილეში ბურთი მაღლა ავჭერი. ეს ილეთი დამუშავებული მქონდა, თითქოს ბურთი ტრაექტორიით კარს უკან უნდა ჩაშვებულიყო. ამიტომაც ლეონოვი არც განძრეულა, წამიც და, თავში შემოირტყა ხელი, მაგრამ რაღას უშველიდა — კარი აღებული იყო — 5-4.

ამ გამარჯვებამ უდიდესი სიხარული მოჰგვარა მაყურებლებს, ჩვენ კი იმ სიამით აგვავსო, რომლის ბადალი არ არსებობს ჭეშმარიტი სპორტსმენის ცხოვრებაში. ღამის ბინდით იწურებოდა თბილისი, სტადიონის გარშემო ქუჩებში ჟრიამული, სიმღერა და სიცილი არ ცხრებოდა“...

ჯეჯელავას მიხედეთ, ჯეჯელავას!

ახლა მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რომლის პირადი მომსწრეც გახლავარ. თბილისის „დინამო“ საკუთარ სტადიონზე ლენინგრადის „ზენიტს“ ეთამაშებოდა. მეორე ნახევრის დასაწყისში პაიჭაძემ მარჯვენა ფლანგზე ადგილი გაუცვალა ჯეჯელავას. ბურთი „ფეხბურთის კარუზოს“ ჰქონდა. გაიოზმა ლენინგრადელთა საჯარიმო მოედნის ხაზისაკენ დაიწყო მოძრაობა. მის, ერთი შეხედვით „უაზრო“ სირბილს, არავინ მიაქცია ყურადღება. ზენიტელთა მცველები პაიჭაძის მეურვეობით იყვნენ დაკავებულნი. ნევისპირელთა გამოცდილი მეკარე ლეონიდ ივანოვი, თავის მცველებს უკიჟინებდა — ჯეჯელავას მიხედეთ, ჯეჯელავას, იგი რაღაც მზაკვრობას გვიმზადებს! პაიჭაძემ თავი დააღწია ორ მეურვეს და ბურთი გაიოზის მისამართით გაგზავნა, საჯარიმოს ხაზზე მომთაბარე მარჯვენა გარემარბმა უცნაურად აიქნია ფეხი, ბურთმა წრე მოხაზა და ლენინგრადელთა კარის ბადეში ჩაეშვა. გაწბილებულმა მეკარემ რუსულად შეუკურთხა თავის მცველებს და ბურთი ბადიდან გამოიტანა.

თბილისის „დინამოს“ კაპიტანი (ბორის პაიჭაძის ტრავმის შემდეგ გუნდის წითელი სახვევი გაიოზს ჩააბარეს) გამოირჩეოდა მაღალი არტისტიზმით, რაც ტრიბუნებზე მსხდომი მაყურებლების ხარხარს იწვევდა. მაგონდება ერთი ასეთი ეპიზოდიც, როცა „დინამო“ თბილისში მოსკოვის „სპარტაკს“ ხვდებოდა. ერთ მომენტში მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო გაიოზ ჯეჯელავამ, რომელიც დრიბლინგით დაიძრა სტუმართა კარისაკენ. დინამოელთა კაპიტანი მარჯვენა ხელით მიანიშნებდა ანდრო ზაზროევს, რომ იგი უკან გაყოლოდა ტანდაბალ გარემარბს. თბილისელი ბურთიანად შევიდა სპარტაკელთა საჯარიმოში, თავზე მას ტანმაღალი მცველი დასდგომოდა და ცდილობდა კარში დარტყმის საშუალება არ მიეცა. გაიოზმა ჯადოქარივით შემოუარბინა ბურთს და კუთხური დარტყმის ალმისაკენ (უბურთოდ) გააგრძელა სირბილი. მცველი ანკესზე წამოეგო და რამდენიმე მეტრით გაჰყვა საცირკო ტრიუკის ავტორს. მიტოვებულ ბურთთან გაჩნდა ანდრო ზაზროევი, რომელმაც გაგზავნა იგი სპარტაკელთა ბადეში. ტრიბუნებზე ხარხარი და ტაშისცემა არ შეწყდარა.

ასე დაუღალავ შრომაში ჰქონდა დამუშავებული გაიოზს ძლიერად დარტყმული და მაღალი გადაცემების ზუსტად მიღების უნარი. წვრთნისადმი სერიოზული დამოკიდებულება, გულმოდგინება, სწორი ანალიზის ნიჭი მუდამ მისი დამახასიათებელი თვისება იყო. ასეთი ვირტუოზული ტექნიკის მქონე თავდამსხმელი სპორტულ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ თბილისში (დინამოელებმა 9-2 გაიმარჯვეს) ყირამალა დარტყმით გატანილი ერთ-ერთი ბურთი სტუმრების კარში.

ორი სტალინის გარემოცვაში

გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში სტუმრობის დროს, ვიცოდით, რომ გაიოზ ჯეჯელავა ხალხთა ბელადს, იოსებ ბესარიონის ძეს შეხვდა. ხოლო ის ფაქტი, რომ ვასილ სტალინმა იგი ვვს-ში უფროს მწვრთნელად მიიწვია, პირადად ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო. ჯეჯელავა და მისი ძმა სპარტაკი, რომელიც გარდაცვალებამდე ვერაზე, თარხნიშვილის ქუჩაზე ჩემს სადარბაზოში ცხოვრობდა, მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში მოღვაწეობდნენ. ერთხელ სპარტაკმა სანადიროდ გამიყოლა. როგორც სპორტულმა ჟურნალისტმა, საუბარი ძმების მამა-შვილ სტალინების გარემოცვაში ყოფნის შესახებ ჩამოვუგდე. მაშინ გაიოზი, დაიწყო სპარტაკ ჯეჯელავამ, სართანიას ქუჩაზე ნორჩ ფეხბურთელებს ავარჯიშებდა. ეს იყო 1949 წლის შემოდგომაზე. მოულოდნელად მასთან სკოლის ერთ-ერთი თანამშრომელი მივიდა და უთხრა. — ბატონო გაიოზ ივანეს ძევ, მოსკოვიდან სტალინმა დარეკა და თქვენთან საუბარი სურს. ირგვლივ ხარხარი ატყდა, ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. — თქვენ ხუმრობთ და მე კი სრულ სიმართლეს გეუბნებითო, მიუგო გაწბილებულმა ამბის მიმტანმა. წვრთნის დასრულების შემდეგ, ჩემო შალვა, განაგრძობდა სულმნათი სპარტაკ ჯეჯელავა, გაიოზს დირექტორის კაბინეტში მართლაც დახვდა ტელეფონოგრამა მოსკოვიდან, სადაც ეწერა, რომ საღამოს 9 საათზე მას ტელეფონით ესაუბრებოდა მოსკოვის სამხედრო ოლქის საჰაერო ძალების მთავარსარდალი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ იოსების ძე სტალინი. ეს საუბარი მართლაც შედგა. ჩემი ძმა მოსკოვში გადავიდა და უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე სამხედრო-საჰაერო ძალების ფეხბურთელთა გუნდს ჩაუდგა სათავეში.

რაც შეეხება გენერალისიმუს სტალინთან შეხვედრას, განაგრძობდა სპარტაკ ჯეჯელავა, ეს ოდნავ მოგვიანებით შედგა. ბელადთან აუდიენცია საკმაოდ დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ვასილი განსაკუთრებულად ემზადებოდა ამ აუდიენციისათვის. „პილატეს ცრემლების“ დიდმა მოყვარულმა „მშრალი კანონი“ გამოაცხადა და რამდენიმე დღის განმავლობაში არ ეკარებოდა არაყს. იოსებ სტალინის პირად დაცვას ორი კვირით ადრე უნდა ცოდნოდა, თუ ვის მიიყვანდა მასთან ვასილი. ამ უკანასკნელმა საკმაოდ ადრე შეატყობინა ვვს-ის კლუბის უფროს მწვრთნელს გაიოზ ჯეჯელავას, თუ როდის შედგებოდა ეს ისტორიული ვიზიტი. გაიოზი სერიოზულად ემზადებოდა, მე ვამშვიდებდი მას.

კუნცევოს აგარაკზე მისულები უპრობლემოდ გაგვატარეს, მიამბო იქიდან დაბრუნებულმა გაიოზმა. დიდი ბელადი საწერ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა. სტუმრების შესვლის შემდეგ იგი წამოდგა, ვასილს ხელი ჩამოართვა, მამაშვილმა ერთმანეთი გადაკოცნეს. მფრინავმა გენერალმა ბელადს ჩემი თავი წარუდგინა.

— საიდან გამოჩხრიკე ეს ქართველი? ჩაილაპარაკა სტალინმა და გაიოზს გადახედა.

— ეს ჩვენი ფეხბურთის კლუბის ვვს-ის უფროსი მწვრთნელია.

— ვიცი, ვიცი, გაიოზ ჯეჯელავა, აქ კიდევ ერთია — პაიჭაძე. თქვენ მართლაც კარგად გამოგდით, როცა თბილისის „დინამო“ იმარჯვებს გაზეთები წერენ, რომ მოედანზე სასწაულებს ახდენდით, ხოლო, როცა დამარცხებულები ტოვებთ მინდორს, მაშინ დასძენენ, რომ თქვენმა მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს თქვენს გარდა კოლექტივში სხვა არავინ იყოს, დაასრულა საუბარი ბელადმა.

მაშინდელი კიროვის ბაღი „ფეხბურთის გულშემატკივართა აკადემიად“ მონათლეს. იქ თავს ვიყრიდით მწერლები, ჟურნალისტები, არქიტექტორები, მხატვრები და ათობით სხვა პროფესიის წარმომადგენლები. მახსოვს, ერთხელ, ქართული იუმორის სწორუპოვარმა რაინდმა და პოპულარულმა კარიკატურისტმა გიგლა ფირცხალავამ საუბარი ჩამოაგდო მსოფლიოს კინოს ვარსკვლავებზე, სიცილის მეფეებზე — ბესტერ კიტონზე, ჰაროლდ ლოიდზე, მაქს ლინდერზე და ჩარლი ჩაპლინზე. თვითონ გიგლამ სიცილის მეფედ ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი გამოაცხადა და თან დასძინა: ჩაპლინი იგივეა ეკრანზე, რაც გაიოზ ჯეჯელავა მწვანე მინდორზე. აბა, რომელ თქვენთაგანს არ გინახავთ, როცა თბილისის „დინამოს“ ეს ლეგენდარული მარჯვენა გარემარბი, მე ვიტყოდი, იმპროვიზაციის უდიდესი ავტორი, ყველასათვის გასაკვირად, ბურთს უკან დატოვებდა, თვითონ უბურთოდ გაექცეოდა და თან მცველს აიყოლიებდა. გაიოზის ოინბაზობის უნარი თვით იპოლიტე ხვიჩიასაც შეშურდებოდა. ბაღის გულშემატკივრების საყვარელი გასართობი იყო ის საღამო, როცა ყველა დროის თბილისის „დინამოს“ 11 საუკეთესო მოთამაშის დასახელებისათვის საჭირო რეფერენდუმს ჩავატარებდით. რატომღაც ყოველთვის „დუბლვეს“ სისტემას ვირჩევდით, სადაც თავდასხმის ხუთეული ასე გამოიყურებოდა. გაიოზ ჯეჯელავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი. XX საუკუნის ლეგენდარულ ფეხბურთელზე, 90 წლის გაიოზ ჯეჯელავაზე თხრობა მინდა დავასრულო პატარა ლექსით:

„ახლახან, რომ ვგიჟდებოდით პელევავა-გარინჩაზე,

უფრო ადრე ჩვენ არ გვყავდა ჯეჯელავა-პაიჭაძე?!“...

შალვა ქირია

სურათებზე: გაიოზ ჯეჯელავა.
ფოტო მ. მათველაშვილისა.

ავტოგრაფები თეთრ ტილოზე

ეძღვნება მიხეილ მესხს და მის მეგობრებს

... უზომოდ უყვარდა საქართველო, უყვარდა პოეზია, განსაკუთრებით ვაჟას შემოქმედებას აღმერთებდა. არაერთხელ გვინახავს სასმისით ხელში. მუხლმოყრილი, სამშობლოზე მის ლექსებს რომ წარმოთქვამდა.

ხშირად უთქვამს, რომ განსაკუთრებული ჟინითა და მონდომებით თამაშობდა იმ ქვეყნების საფეხბურთო გუნდების წინააღმდეგ, რომლებსაც წარსულში საქართველო აუოხრებიათ, მწვანე მინდორზე თითქოს სამაგიეროს უხდიდა მათ — სათაყვანებელი სამშობლოს დანგრევისა და და დაჩანაგებისათვის.

საზღვარგარეთ ხშირად ქართველი ემიგრანტები მონახავდნენ და შინ იპატიჟებდნენ. უარს არავის ეუბნებოდა, თუმცა, ასეთი ქმედებისათვის, მოგეხსენებათ, მაშინ, მკაცრად ისჯებოდნენ. საოცრად უყვარდა და პატივს სცემდა უსაქართველო ქართველებს, სულით ხორცამდე სძრავდა მათი ნოსტალგია.

აი, რას წერს ცნობილი ჟურნალისტი, წლების განმავლობაში „გაზეთ“ ფუტბოლის“ მთავარი რედაქტორი ლევ ფილატოვი თავის წიგნში „ყველაფერზე — თანმიმდევრობით“:

„ — არ ვიცი, ასწავლიან თუ არა ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე უფროს-უმცროსის ურთიერთობაში, ასე ვთქვათ, დისტანციის შესახებ. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი აუცილებელი წვრილმანია ჩვენს მუშაობაში. ძნელია რაიმეს ზუსტი რეკომენდაცია: დისტანციას განსაზღვრავს ნატურა, აღზრდა, ტაქტი, მაგრამ უამისოდ ნამდვილად ვერ იმოქმედებ...

საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად გახლდით ჩილეში. სანტ-იაგოში (საუბარია, 1966 წლის დასაწყისზე — ნ.მ.). ხანგრძლივი ტურნე დასასრულს უახლოვდებოდა და, სამშობლოს მონატრებულნი, მოწყენილები ვიყავით.

კარზე დააკაკუნეს, გამეღვიძა: საათი პირველის დასაწყისს უჩვენებს. „შეცდა ვინმე“? კარს ვაღებ: ჩემს წინ დგანან მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, სერგო კუტივაძე — ჩვენი გუნდის ქართული წარმომადგენლობა. ყველანი „გამოსასვლელ ფორმაში“ არიან — კოსტიუმებსა და ჰალსტუხებში.

მიშა მესხი წყნარად მეუბნება:

— თხოვნა გვაქვს, სტუმრად წამოდით ჩვენთან ერთად.

— იცით, რომელი საათია?

— ვიცით, ადრე ვერ წავიდოდით, ნებას არ დაგვრთავდნენ. წავიდეთ, კარგი სახლია.

— მე რა საჭირო ვარ?

— თქვენ უფროსი იქნებით.

მივხვდი, რომ ისინი უჩემოდაც წავიდოდნენ, დღის განაწესი, სულ ერთია, მაინც დარღვეულია. შეგონებას აზრი არა აქვს — ბავშვები ხომ არ არიან!

— მე უფროსი ვიქნები? მაშინ, გთხოვეთ, დამიჯეროთ.

ხელები გულზე დაიდეს. თავი მოკრძალებით დახარეს.

ჩავსხედით მაღალ, ფართო ლიმუზინში, რომელიც სასტუმროსთან გვიცდიდა და წავედით. უეჭველი ავანტურაა, მაგრამ თუ უარს ვეტყოდი, მათ თვალში ავტორიტეტს დავკარგავდი, ამის გარდა, ცნობისმოყვარეობამაც წამძლია...

მაღალმესერიან კოტეჯს მივადექით. შენობაში შევედით. სასადილო ოთახში პურ-მარილია გაწყობილი. ჩვენს შესახვედრად გამოემართა ჯმუხი, ჯანიანი მოხუცი, ქართული იერ-სახით. ჩემმა თანამგზავრებმა მასთან საუბარი თავიანთ ენაზე გააბეს. რაღაცას დაბეჯითებით უმტკიცებდნენ. მოხუცმა მოუსმინა და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. მის უკან თითქოს ადამიანები კი არა, ჩრდილები — მისი ოჯახის წევრები მოძრაობდნენ. მასპინძლის მიპატიჟებისამებრ, კიბით სარდაფში ჩავედით. იქ წრიულად მორის რამდენიმე გადანაპერი ელაგა. ყველაზე ფართო შუაში ჩაედგათ და მაგიდის მოვალეობას ასრულებდა. ჩამოვსხედით. „ჩრდილებმა“ მოგვიტანეს თეფშები, ჭიქები, მოგვართვეს კერძები. ჩემმა თანამგზავრებმა არ მოისურვეს სასადილოში დაჯდომა — სარდაფი არჩიეს.

ესხედვართ, ორი ახალგაზრდა კი კედელთან დგას. რუსთაველის პროსპექტზე ისინი თავიანთ სტიქიაში იქნებოდნენ.

მიშა მესხი ჩემკენ გადმოიხარა:

— წარმოგიდგენიათ, ამ კაცის შვილებმა ქართული არ იციან...

— არ მეტყვით, მაინც, სად ვიმყოფებით?

— ძალიან პატივსაცემი ადამიანია. სრულიად ახალგაზრდა, ბედმა სამხრეთ ამერიკაში გადაისროლა. იაფად იყიდა მიტოვებული მიწა ქვეყნის განაპირას და არც შემცდარა: მალე აქ ქალაქი გაფართოვდა და აშენდა. მან მიწის ნაკვეთები გაყიდა იმ პირობით, რომ ერთ ქუჩას შოთა რუსთაველის, ხოლო მეორე ქუჩას ლევ ტოლსტოის სახელებს დაარქმევდნენ. მონაწილეობდა ესპანურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში. მთელი ცხოვრება აქ გაატარა და, როგორც კი შეიტყობს, რომ სანტ-იაგოში საქართველოდან ვინმე ჩამოვიდა, შინ იწვევს.

სარდაფის თაროებზე უხვადაა ლვინით სავსე ბოთლები. მასპინძელი თავმოუბრუნებლად ხელს გაიწვდიდა და ბიჭებს ღვინის ბოთლები მოჰქონდათ.

— ის გვიმტკიცებდა, რომ აქაური ყურძნის ჯიში ზუსტად იგივეა, რაც საქართველოში. ეჭვი არ შეგვეპაროთ, ჩვენ სმას არ შევუდგებით, მხოლოდ დეგუსტაციას ჩავატარებთ, შევამოწმებთ.

ასეც მოხდა. ქართველი ფეხბურთელები მოხუცს ქართულად ესაუბრებოდნენ. ვამჩნევდი, ორივე მხარეს ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მე, ცხადია, საუბარში არ ვმონაწილეობდი. რამდენიმე ხნის შემდეგ თითით მორზე დავაკაკუნე და წარმოვთქვი: „საკმარისია, წავიდეთ“.

არავის უცდია წინააღმდეგობის გაწევა. მასპინძელს რაღაც აუხსნეს, შემომხედეს და ადგნენ.

მეორე სართულზე, მომცრო ოთახში, დიდი სკივრი იდგა. იქიდან თეთრი ტილო ამოიღეს, მასზე ყველამ ხელი მოაწერეთ.

— შემდეგ ქალები ამოქარგავენ — ამიხსნა მესხმა — ყველას აქვს თავისი ავტოგრაფი დატოვებული, ვინც აქ ოდესმე ყოფილა — მსახიობებს, მოცეკვავეებს, სწავლულებს...

ლიმუზინმა, კვლავ სასტუმროში მიგვიყვანა და უხმაუროდ ჩვენ-ჩვენ ნომრებში განაწილდით, რათა დილით, საუზმეზე, თავის დროზე გამოვცხადებულიყავით.

მას შემდეგ არც ერთ ჩემს თანამგზავრს არ შეუხსენებია ჩემთვის ის ღამე და მეც არც ერთი მათგანისათვის არ მომიგონებია იმლამეული მოგზაურობის შესახებ.

უფროსის როლი შევასრულე. დისტანცია არ დარღვეულა...“.

ნუგზარ მჭედლიშვილი
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

P.S. იმ კეთილი და პატრიოტი ქართველის ხელშეწყობითა და მეცენატობით ესპანურ ენაზე თარგმნილი შოთას უკვდავი პოემა — შესანიშნავად გაფორმებული წიგნის ერთი ეგზემპლარი ახლა მესხების ოჯახის რელიქვიაა. სამწუხაროდ, ეს წიგნი არაფერს გვეუბნება იმ ჭეშმარიტად, დიდი მამულიშვილის გვარსა და სახელზე — სანტ-იაგოში ქართველ ფეხბურთელთა მასპინძელზე (და არა მარტო მათი); იქ, შორეული ჩილეს დედაქალაქში შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩის დამაარსებელსა და მისი პოემის ესპანურ ენაზე თარგმნის დიდ ორგანიზატორზე.

ამ რამდენიმე დღის წინათ, ვესაუბრე მურთაზ ხურცილავას, თბილისში (ტელეფონით). მურთაზმა კარგად გაიხსენა ზემოაღწერილი ეპიზოდი. გაიხსენა იმ „ჩილელი“ ქართველის გვარი — მერაბიშვილი. დიდმა ფეხბურთელმა სახელი ვერ აღიდგინა. იგი აღფრთოვანებით მომიყვა სანტ-იაგოში სტუმრობის მომენტებზე. მითხრა, რომ მერაბიშვილების ოჯახმა მათ ნამდვილი ქართული სუფრა გაუწყო, შესანიშნავი მასპინძლობა გაუწია. მურთაზმა აგრეთვე მითხრა, რომ ოჯახის უფროსის ცოლი გახლდათ ფრანგი ქალბატონი; მათი ორი ვაჟიდან ერთი იმ ქალის შვილი იყო პირველი ქორწინებიდან, მეორე კი მათი ქორწინებიდან. განსაკუთრებით კარგად მღეროდა თურმე უფროსი ვაჟი — მან შესანიშნავად შეასრულა „სულიკო“. ოჯახის უფროსი ხშირად იწვევდა თურმე სტუმრებს (ადგილობრივ მცხოვრებლებს) თავის სამფლობელოში, უშლიდა შესანიშნავ სუფრას, სრულდებოდა მრავალი ქართული სიმღერა სტუმრების პატივსაცემად.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ხუთწუთიანი კოშმარი „სამპდორიასათვის"

ესპანეთის პრიმერადივიზიონის ჩემპიონობისთვის მებრძოლმა „ბარსელონამ" 2005 წელი „ვილარეალთან" გამანადგურებელი მარცხით დაიწყო. ესპანელებმა საკუთარ კარში სამი უპასუხო ბურთი მიიღეს. „ბარსელონას" ჯერ ფორლანმა დაუნებურა (3-ე წუთზე. მერედ ტაძის დასაწყისში როდრიგესმა გამოიჩინა თავი, მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი ისევ ფორლანმა საბოლოო ანგარიში დაადგინირა — 3-0 „ვილარეალის" სასარგებლოდ. კატალონიელები გუნდის ხელმძღვანელობა ასეთი ფიასკოს არ მოელოდა, თუმცა თავის დროზე, მან ამით ტრაგედია არ უწოდა და განაცხადა, რომ „ბარსელონა" 7 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს. აღნიშნულ შეხვედრაში **ვინც რაიკარდის გუნდი შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა:** ვალდესი, პუიოლი, მარკესი, სილეიროი, ოჯედერი, დამია (ინიესტა, 58), ჩაჟი, გიული, დეკუ, ეტო'ო, რონალდინიო. პრიმერადივიზიონის მე-18 ტურის ფარგლებში კი მადრიდული დერბი გაიმართა. „ატლეტიკოსა" და „რეალს" შორის. ეს უკანასკნელი ვანდერლეი ლუქსემბურგის ხელმძღვანელობით სანტიაგო ბერნაბეუში მეორე მატჩს ატარებდა. რამდენიმე დღის წინ „რეალის" სოსიედადთან" 6-წუთიან მატჩში ჩანაცვლების" იმარჯვა. ცეროს კი ლუქსემბურგის შეგირდებმა ბრწყინვალე ტელენ დაამარცხეს „ატლეტიკო". ნგარიშენ პირველ ტაიმში როგალთმ გახსნა რობერტო კარლოსის ულებდაც შემდეგ, მე-80 წუთზე სოლარის მატჩის გადარჩენის იმედი გააფრთხო „ატლეტიკოს". სამ წუთში კი ისე რასთან" გამოარჩინა თავი. რეალმა" გაიმარჯვა 3-0 და 35 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

გუნდების შემადგენლობა:

„ატლეტიკო". ლეო ფრანკო. ანტონიო ლოპესი, პაბლო იბანიესი, ფერეირა, ობაფაია, აგილერა (მოლინერო, 46), ლუისენი (ნანო, 77), მარსელინო, სალვა (პაუნოვიჩი, 69), გრონდინი, ფერნანდო ტორესი.

„რეალი". კასილიასი, რობერტო კარლოსი, ივან ელგერა, პაეონი, არბელოა, ფიგუ (სელადეს, 85), ლოსანტოსი, ბეკჰემი, რაული, ზიდანი, რონალდო (მორიენტესი, 86).

სატურნინო ცხრილში მესამე ადგილზე „ვალენსია", რომელმაც „რეალს" მხოლოდ 35 ქულა მოაგროვა.

ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა 2-1 სძლია „ლევანტეს".

სხვა მატჩები: „ნუმანსია" — „ბილბაო" 1-1, „სევილია" — „ბეტისი" 0-0, „რასინგი" — „მალაგა" 2-1, „სარაგოსა" — „ბეტისი" 1-0, „სოსიედადი" — „ალბასეტე" 0-2, „მალორკა" — „დეპორტივო" 2-2, „ესპანიოლი" — „ოსასუნა" 4-1.

მომდევნო ტურში, 16 იანვარს ერთმანეთს ხვდებიან „ალბასეტე" — „რასინგი", „ბილბაო" — „ესპანიოლი", „ბარსელონა" — „სოსიედადი", „დეპორტივო" — „ნუმანსია", „ბეტისი" — „მალორკა", „რეალი" — „სარაგოსა", „ლევანტე" — „ვილარეალი", „ბეტიჟე" — „ატლეტიკო", „ოსასუნა" — „ვალენსია", „მალაგა" — „სევილია".

იტალიის სერია „ა"-ს მე-18 ტურში ტურინის „იუვენტუსმა" წინა ტურში დაკარგული 5-ქულიანი სხვაობა აღადგინა „მილანთან". „ბეპბორმა ქალაქელებმა" საკუთარ მოედანზე 4-2 დაამარცხა „ლივორნო". გამარჯვებულთაგან ორი გოლი კამორანეზიმ გაიტანა, ხოლო თითოჯერ თავი გამოიჩინეს დელ პიერომ და იბრაჰიმოვიჩმა.

„იუვენტუსი". ბუფონი, ძონისა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ოლივერა (ტაკინარდი, 64), ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი (ზესტოტი, 85), დელ პიერო (სალიატა, 68).

„იუვენტუსის" 43 ქულა გაუგებრად, „მილანს" კი — 39. ამ უკანასკნელმა სტუმრად ვერ შეძლო „პალერმოს" დამარცხება (0-0).

„მილანი". დიდა, კაფუ, კოლტაურტა, მალდინი, პანკარო, გატუზო (ზეედორფი, 68), პირლო, დორასო (ამბროზინი, 77), კაკა, კრუსპო (ტომასონი, 80), შევჩენკო.

სანტიაგო მოელენი დატრაბადა „სანსიროზე", სადაც მილანის „ინტერი" „სამპდორიას" მასპინძლობდა. 88 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა „სამპდორიას" კარიან ერთი საგოლე მომენტის შექმნაც ვერ მოახერხეს... ფაქტ 0-2 იყო სტუმართა სასარგებლოდ და ყველა ეგონა, რომ „ინტერი" მოედანს დამარცხებული დატოვებდა, მაგრამ...

„ინტერის" მწვრთნელმა მანჩინიმ მარტინი და რეკობა გამოიყვანა მოედანზე კრისტიან ანდეტა და ადტატერდა, „სამპდორია" საკუთარ კარს მიეჯაჭვა და მოხდა წარმოუდგენელი რამ... 5 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა 3 გოლი გაიტანეს! 88-ე წუთზე ჯერ მარტინმა შეამცირა სხვაობა, ორ წუთში ვიერის გათანაბრა და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე რეკობამ გამარჯვების გოლი გაიტანა — 3-2. „ინტერმა" მოიგო და ერთი დერით გუნდი სერია „ა"-ში, რომელსაც 18 მატჩში მარცხი არ უგემია.



„ინტერი": ტოლდო, ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ფიგალო, ჯ. ძანეტი (მარტინი, 68), ემრე (სარაგუნი, 84), კამბიასო, სტანკოვიჩი, ვიერი, ადრიანო (რეკობა, 77).

სხვა მატჩები: „უდინეზე" — „ლაციო" 2-0, „რომა" — „ატალანტა" 2-1, „ფიორენტინა" — „ლაციო" 2-3, „ლეჩე" — „რეჯინა" 1-1, „სიენა" — „პარმა" 0-1, „ბოლონია" — „იუვე" 3-1, „მესინა" — „ბრეშა" 2-0.

მომდევნო ტურში, 16 იანვარს ერთმანეთს შეხვდებიან: „ატალანტა" — „სიენა", „ბრეშა" — „ფიორენტინა", „ლაციო" — „იუვენტუსი", „იუვე" — „რომა", „ლაციო" — „ბალერმო", „ლივორნო" — „მესინა", „მილანი" — „უდინეზე", „პარმა" — „ლეჩე", „რეჯინა" — „ბოლონია", „სამპდორია" — „ბოლონია".

გაიმართა ინგლისის თასის გათამაშების ოცდამეოთხმეტედ ფინალური მატჩები. მთავარი სენსაცია ის იყო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" საკუთარ მოედანზე ვერ შეძლო მერერვიზიონელი „ფესტერის" დამარცხება (0-0). ასევე კუდა დეივიზიონელთან დამარცხდა „მანჩესტერ სიტი". ამ უკანასკნელმა ვერაფერი გააწყო „ლუტონთან" (0-1).

შოტლანდიის თასის გათამაშების მეთქვსმეტედფინალურ მატჩში „სელტიკმა" 2-1 დაამარცხა შოთა არველაძის გარეშე მოთამაშე „რეინჯერსი".



ხავი ერნანდესს «ბარსელონას» დიდი მომავლის სჯერა

საშობაო არდადეგებზე ფეხბურთელები, როგორც წესი, ისვენებენ, რათა ძალები აღიდგინონ სეზონის მეორე ნახევრის თამაშებისათვის. „ბარსელონას" ნახევარმცველი ხავი ერნანდესი კი ადგილს ვერ პოულობდა.

„აბა, წარმოიდგინეთ, როგორი მატჩები ელით გულშემატკივრებს, — ამბობს ფეხბურთელი, — ავიღოთ თუნდაც ჩემპიონთა ლიგის მერედფინალური ეტაპი, — ჩვენი მეტოქე ხომ რომაში აბრამოვიჩის ლონდონის „ჩელსია". ეს იქნება ორი მუდად საინტერესო ბრძოლა. ეს შეხვედრები, როგორც ცნობილია, თებერვალში გაიმართება, თუმცა მე მაგა ვარ, ხელეე ვითამაშო ასეთი გრანდების მატჩში და საკუთარი შესაძლებლობები მაჭიმაღლოდ გამოვიკონო... ჩვენ ჯერეელებით, თებერვალშედ ბოლომდე შევისწავლით „ჩელსის" შესაძლებლობებ".

კვირას „ვილარეალთან" დამარცხების მიუხედავად, „ბარსელონა" მაინც დამაჯერებლად ლიდერობს ესპანეთის პრემიერადივიზიონში. გუნდის წარმატებაში წვლილი ხავი ერნანდესსაც მიუძღვის. ახლა მის კარიერაში „გადეჩეკვის" ეპოქაა. ლუის არაგონესთან ხომ ხშირად იძახებს მას ესპანეთის ნაკრებშიც. „ბარსელონას" თამაკი ფრანკ რაიკარდი კი ბოლომდე ენდობა ნახევარმცველს.

„მე მაგლობელი ვარ. მწვრთნელებს, თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებს, რომლებმაც საკუთარ ძალებში დამარწმუნეს. ისინი მედან მხარს მიჭერდნენ და მეუნდობოდნენ, რომ გუნდისათვის საჭირო მოთამაშე ვარ. ისაა დამრჩენია, რომ წინსული გავაგრძელო და ვცდილო, უფრო უკეთ ვითამაშო", — ამბობს ხავი ერნანდესი.

ესპანელისტებთან საუბარში ერნანდესმა აღნიშნა, რომ 2004 — 2005 წლები ნეიმარ ბეკერია „ბარსელონასათვის" „ოქროს სეზონი" იქნება. „ბევრი სპეციალისტი ვარაუდობს და მეც მჯერა, რომ ჩვენი ორნატზე".

კასანო „რეალში" თამაშზე ოცნებობს

ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „რომას" წამყვანმა ფეხბურთელმა ანტონიო კასანომ ჟურნალისტებს ის დაუმალა, რომ მისი ოცნება მადრიდის „რეალში" თამაშია.

„მადრიდის „რეალი" პირდაპირ მაჯადოებს. ადრე „სამეფო კლუბში" თამაშზე ვოცნებობდი, ახლა კი ეგრძნობ, რომ მისკენ გზა ხსნილი მაქვს" — ამბობს კასანო. ანტონიოს სჯერა, რომ „რეალშიც" მაღალ დონეზე თამაშობს და იტალიის ნაკრებსაც მალე დაუბრუნდება.

ანელკას ჰყიდიან?

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელს ქვეონ გიგას, როგორც ჩანს, „ცელი ამოუვიდა" ნაცოლა ანელკას მძიმე ხასიათით და მისი ტრანსფერზე დადგება გადაწყვეტა. კიგანი ბოლოს იმან გააბარა, რომ ანელკამ ზურგის ტრავმის მომიზეზებით „არსენალთან" მატჩში მონაწილეობაზე უარი თქვა.

„ბარსელონა" ორ მოთამაშეს ყიდულობს

ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" პრეზიდენტმა ხოან ლაპორტამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მიმდინარე კვირაში კონტრაქტს გააფორმებენ ორ მოთამაშესთან — ერთ თავდასხმელთან და ერთ ნახევარმცველთან. მათი ვინაობა ლაპორტას არ დაუსახელებია, თუმცა, ცნობილია, რომ კატალონიური კლუბი დაინტერესებულია ავსეხო ტაკინარდი („იუვენტუსი"), კრისტიანო ძანეტით („ინტერი") და გორან პანდევით („ლაციო").

„ლივერპულში" გადადის

ეურნალ „სანის" ცნობით, ესპანეთის ნაკრების თავდამსმელი ფერნანდო მორიენტესი ამიერიდან ინგლისის „ლივერპულის" ღირსების დაიცავს. ინგლისურმა მხარემ მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობას ამ ფეხბურთელში 6,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაუხადა.

არეულობა „პანიონიოსის" სტადიონზე

საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ჩვენთვის კარგად ცნობილ „პანიონიოსსა" და „ოლიმპიაკოსს" შორის გადაიდო სტადიონზე მომხდარი უწესრიგობების გამო. თურმე „ოლიმპიაკოსის" ორი ათას ხუთასი გულშემატკივარი, რომელთა შორის მრავლად იყვნენ უბილეთოებიც, შეეცადნენ „შტურმით" აეღოთ სტადიონის შესასვლელები. მოხდა მათი შეტაკება პოლიციელებთან და „პანიონიოსის" გულშემატკივრებთან. ამის გამო, მატჩი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

უზბეკეთში კასიმოვი საუკეთესოა

უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციამ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა ერთგული ნაკრების კაპიტანი მირბერალო კასიმოვი, რომელიც გასულ სეზონში „ლანას" ღირსების იცავდა. 2004 წლის საუკეთესო მწვრთნელად უზბეკეთში დაასახელეს ტაშკენტის „ფახთაკორის" თავკაცი ტაჰმურად აგამურადოვი.

«ატლეტიკოს» დასჯიან

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ შესაძლოა მკაცრად დასაჯოს მადრიდის „ატლეტიკო". იმის გამო, რომ ამ გუნდის გულშემატკივრები რასისტულ გამოთქმებს ხმარობენ მაღრიდის „რეალის" მოთამაშეების მიმართ. განსაკუთრებით, შეურაცხყოფილი დაჩრა ბრაზილიელი ფეხბურთელი რობერტო კარლოსი. „ატლეტიკო" — „რეალის" მატჩის მიმდინარეობის დროს სტადიონის ღირსკეპციამ არაერთხელ მიმართა მეგაფონის საშუალებით გულშემატკივრებს, შეეწყვიტათ რობერტო კარლოსის ლანძღვა, მაგრამ ამან არსებითი შედეგი არ გამოიღო.



ზიდანი: „შეიძლება ფეხბურთიდან 2007 წლისთვის წავიდე"

ცნობილია, რომ ზინედინ ზიდანს 2007 წლამდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი მადრიდის „რეალთან", თუმცა, თავად ფეხბურთელი არ გამორიცხავს სპორტული კარიერის დასრულებას მანამდეც: „მე ამ სეზონით არ ვასრულებ კარიერას, მაგრამ ამაზე დროს შესაძლოა, 2007 წლამდეც მოვატოვო ფეხბურთი. იცით, როცა კარგად ვთამაშობ, სწორედ მაშინ ვიცი საყვარო თავს მედნიერად. ფეხბურთიდან წასვლად როდის წავალ, ამას უახლოეს მომავალში გადავწყვეტ" — ამბობს ზინედინ ზიდანი.

ნბა

NBA

ზედიზედ მეცხრე მარცხი...

გასულ შაბათ-კვირას გამართულ ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩებიდან მეტად საინტერესო და დრამატული გამოდგა შეხვედრა „ატლანტას“ და „საკრამენტოს“ შორის, რომელიც სტუმრებმა 3 ქულის სხვაობით მოიგეს — 100:97. მატჩის გმირი გახდა „საკრამენტოს“ გამთამაშებელი მაკ ბიბი, რომელმაც 31 ქულა დააგროვა. გარდა ამისა, თამაშის ძირითადი დროის დამთავრებამდე 11 წამით ადრე ხუთი ქულით დაუწინაურა „საკრამენტო“, რაც უკვე გამარჯვების ნიშნავდა.

თანაგუნდელის თამაშით აღტაცებული იყო „საკრამენტოს“ ფორვარდი კრის უებერი: „როცა მაკ ბიბი თამაშის მიწურულს ბურთს ისვრის, ნამდვილად ვიცი, რომ ის მიზანს მიიღწევს, თუნდაც მანამდე 15 ცდა გაეუქმებინოს“.

„მილუოკის“ სტუმრად 107:105 დაამარცხა „ტორონტო“. გამარჯვებული რიგებში ყველაზე შეფეთვიანი იყო მეისონი — 23 ქულა.

„ლეიკერსმა“ საკუთარ მოედანზე 111:104 სძლია „მიუსტონს“. კალაე ბრწყინვალე მასპინძელთა გუნდის ლიდერი კობი ბრაიანტი, რომელმაც 27 ქულა მოაგროვა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

კვირას გამართული თამაშებიდან საინტერესო იყო შეხვედრა ნიუ ორლეანში, ადგილობრივ ამავე სახელწოდების გუნდსა და „საკრამენტოს“ შორის. მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებით დროში უფრო ზუსტი მასპინძლები აღმოჩნდნენ და მათ გაიმარჯვეს ოთხი ქულის სხვაობით — 121:117. ნიუ-ორლეანელთაგან მოედანზე საუკეთესო იყო დვეინი, რომელმაც თავის გუნდს 26 ქულა შესძინა, 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 17 შედეგიანი გადაცემა გაიკეთა. „საკრამენტოს“ შემადგენლობაში კი სტოიკოვიჩი ბრწყინავდა — მან 37 ქულის მოგროვება მოახერხა.

ზედიზედ მეცხრე მატჩი წაგო „იუტა ჯაზმა“, ამჯერად სტუმრად „მილუოკისთან“ — 86:89. მასპინძლთაგან ყველაზე შედეგიანი იყო რეი — 26 ქულა.

დღის კიდევ ერთ ცენტრალურ შეხვედრაში „დალასმა“ 121:101 დაამარცხა „ინდიანა“. „დალასის“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ნოვიცკიმ, რომელმაც 34 ქულა მოაგროვა და 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

სხვა მატჩები: „სან ანტონიო“ — „ფენიქსი“ 99:90, „ლოს-ანჯელესი“ — „ფინიქსი“ 91:108, „ვაშინგტონი“ — „მინესოტა“ 117:114, „ცლივლენდი“ — „ნიუ-იორკი“ 104:79, „ჩიკაგო“ — „ბოსტონი“ 102:91, „ორლანდო“ — „ნიუჯერსი“ 104:101, „სიეტლი“ — „მაიამი“ 108:98.

რაზომ გააკეთეს „რედ ბულიდან“ ხელმოწერანი?



„ფორმულა 1“-ის ახალი გუნდიდან – „რედ ბულიდან“ ხელმძღვანელები – ტონი პარნელი და დევიდ პიტფორტი გაადევნეს. ცნობილი გახდა ისიც, რომ ამიერიდან „რედ ბულს“ უხელმძღვანელებს კრისტინ პორნერი, რომელიც აქამდე საამოდ წარჩატებით მოღვაწეობდა „ფორმულა 3000“-ში.

შეგახსენებთ, რომ „ფორმულა1“-ის გუნდი „რედ ბული“ გასული წლის ნოემბერში შეიქმნა, როცა „იაგუარი“ ავტო-ფირმა ბიზნესმენებმა იფიქრეს, თავიდან არსებობდა შეთანხმება ახალ მქპატრონებსა და „იაგუარის“ ხელმძღვანელებს შორის, რომ ეს უკანასკნელი (საბარი სწორედ ტონი პარნელსა და დევიდ პიტფორტზე) დარჩებოდნენ შესაბამის თანამდებობებზე. მაგრამ... „რედ ბულის“ წევრები შოკში ჩაჰყონ პარნელისა და პიტფორტის გაძევებამ. ბევრი თვლის, რომ „იაგუარი“ მათ იხსნეს დალუპვისაგან. ჯერჯერობით, უცნობია „რედ ბულის“ ხელმძღვანელობის შეცვლის ნამდვილი მიზეზები.

ასეა თუ ისე, „რედ ბული“ ახალ ხელმძღვანელად პორნერთან ერთად გაიგარჯობს სერიოზულ მზადებას თავისი სადებეტო სეზონისათვის. სპეციალისტები თვლიან, რომ ამ გუნდს საკმაოდ კარგი შეიძენს მიღწევა შეეძლია „ფორმულა 1“-ის 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. შემადგენლობაც საკმაოდ ძლიერად გამოიყურება. პირველი პილოტია საკმაოდ კარგად ცნობილი დევიდ კულტჰარდი. მეორე პილოტის ადგილისათვის იბრძვიან კრისტიან კლინი და ვიტანტონიო ლუცი.

„რედ ბულის“ წამდვილი შესაძლებლობების განსაზღვრა ჯერ კიდევ შეუძლებელია. დანარჩენ გუნდების ხელმძღვანელებს უფრო „ფერარის“ პრესპეტივები აღელვებთ. ცნობილი გახდა, რომ ეს გუნდი აპირებენ ფარადეზის სრულიად ახალ ბოლიდის შექმნას, რომელიც 2004 წელს ჩატარებული 18 რბოლიდან 15 მოიგეს).

„ფერარი“ ფანტასტიკური გუნდია, რომლის ხელმძღვანელებიც შედეგების არასდროს უშვებენ. ახალი ბოლიდი წინ გადადგმული ნაბიჯია“, – ამბობს „უილიამსის“ მფლობელი ფრენკ უილიამსი, რომელიც იქვე აღნიშნავს, რომ დანარჩენ გუნდებს ბოლიდების გასაუმჯობესებლად და „ფერარისთვის“ კონკურენციის გაწევისათვის საკრო ფინანსური შესაძლებლობები არ აქვთ.

ზაიკ გაისრონ კოვენგაპორობა შოუდა

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, პრაფესიონალმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა ტელეკომპანია „შოუ ტაიმის“ მიმართა თხოვნით, მიეღო ტელეკომპენტატორად. თუმცა „ლინის მაიკ“ კრივის ორთაბრძოლებებს წაყვანა სურს. კრივის პროფრაფების ხელმძღვანელმა ჯეი ლარკინმა განაცხადა, რომ მაიკ ტაისონს საკმაოდ კარგად ესმის სპორტის ეს სახეობა და აღსათქვა, ძალუძს კომენტატორობას მოკკიდოს ხელი.

ადელაიდაში იოჰანსონმა იმარჯვა

ახალი წლის ატპ-ს ერთ-ერთი პირველი სპორტული ტურნირი გაიმართა ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში, რომლის სპრიზო ფონდი 419 ათასი დოლარი იყო. ვაჟთა შორის ფინალში შვედმა იოჰანმ იუპანსონმა 7:5, 6:3 დაამარცხა მეხუთე ნომრად განთესილი ტეილორ დენი. ამჯერად, რომ მთავარი პრიზისეენ მიმავალ გზაზე იუპანსონმა ჩამოიცილა მარკ ჯიმონი, კრავეი მალისე და ტომას ენკვისტი.



დვენაორგი ლიდერობას ინარჩუნებს

ამერიკელი ფოგბურთელი ლინდსი დვენპორტი ეტა-ს გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგში კვლავ ანარჩუნებს პირველ ადგილს. მეორეზეა ფრანგი ამელი მორატოგლო, ხოლო მესამეზე – ანასტასია მისკინა.

ვაჟთა რეიტინგში (ატპ) ლიდერობს შვეიცარიელი როჟე ფედერერი, მეორეზე ენდი როდიკი, ხოლო მესამე ადგილზეა – ლეიტონ ჰიუეტი.

ჯოკოვიჩი ჯერ კიდევ ვერ ...

ოსტრავაში მიმდინარე ტურნირის ფინალში სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრების ლიდერმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ჩეხი ტომაშ ბერდიხი 6:4, 6:4 დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული გახდა. ეს ტურნირი ჯოკოვიჩის ამ სეზონის პირველი ტურნირი იყო, სადაც მან ვერ მოიგო. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ჯოკოვიჩი დამარცხებულ იქნა ამერიკელი ენდი როდიკის მიერ.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



11 იანვარი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. 08:00. პროგრამა „ეროლი“ (17.25); *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005 სეზონი. ესპანეთის „ბარსელონა“ — „ვილარეალი“ „შახტარი“ (12.15), „ფენერბაჩთის არადაგეგმების დღეები“: ტურნირის ჩემპიონები: „შახტარი“ — დონეცკის „მეტალურგი“ (14.10), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.05), 3 ოლანდიის ჩემპიონატი. „ფეიენოორდი“ — პსვ (18.40), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.45), საფრანგეთის ჩემპიონატი „ლიონი“ — „მარსელი“ (22.55); *HTB плюс спорт.* მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი. ფინალები (10.55), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი (17.15), სამთასხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (22.15), ჩოგბურთი. „ნორჩნძ კუპ“. ფინალი (23.00); EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 15.00, 16.45, 18.00), ფეხბურთი: ევროგოლები (16.00), „გოლი“ (21.45), ევროსპორტის ახალი ამბები (1.15), კრივი. პროფესიონალები (1.30).

12 იანვარი, ოთხშაბათი

HTB плюс футбол. საფრანგეთის ჩემპიონატი „ლიონი“ — „მარსელი“ (12.15), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (14.00), „ფეხბურთის არადაგეგმების დღეები“. პოლანდიის ჩემპიონატი. „ფეიენოორდი“ — პსვ (15.00), „ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები. „ყორნტიანსი“ — „სანტოსი“ (17.30), ჩემპიონთა ლიგა: 2004-2005 სეზონი. ინტალიის „მილანი“ — შოტლანდიის „სელტიკი“ (19.45), საფრანგეთის ჩემპიონატი. „სოშო“ — „ლიონი“ (22.25), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.20); *HTB плюс спорт.* სამთასხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი. სუპერგიგანტი (23.00), სათხლემპორო რბოლები (0.15). EUROSPORT. სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (12.00, 12.45), რბოლები (14.30), ჩოგბურთის ისტორიები (16.15), ჩოგბურთი. „ატპ“-ს ტურნირი (16.30), ევროსპორტის ახალი ამბები (1.45).

13 იანვარი, ხუთშაბათი

HTB плюс футбол. საფრანგეთის ჩემპიონატი. „სოშო“ — „ლიონი“ (12.15), ჩემპიონთა ლიგა: 2004-2005 სეზონი. იტალიის „მილანი“ — შოტლანდიის „სელტიკი“ (14.00), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.10), „საფეხბურთო არადაგეგმების დღეები“. გერმანიის ჩემპიონატი. „ვოლფსბურგი“ — „ვაიზერსლაუტერნი“ (17.40), საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (19.55), „ფეტბოლ მენდიალი“ (21.20), ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005 სეზონი. გერმანიის „კერდერი“ — ესპანეთის „ვალენსია“ (21.50), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.00); *HTB плюс спорт.* კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (21.00), ჩოგბურთი. „ატპ“-ს მიმოხილვა (1.00); EUROSPORT. თხილამურები. მსოფლიო თასი (11.30, 12.00), სამოგბურთო ისტორიები (14.30, 14.45), ჩოგბურთი. „ატპ“-ს ტურნირი (15.00, 16.30), კრივი. პროფესიონალები (21.00), ფეხბურთი. ეფეს პილზენის თასი (22.00) ევროსპორტის ახალი ამბები (1.15), სახბრძოლო ხელოვნების კლუბი (1.30).

ზაფრთხილებაში ჟოუდოკები

ტელეკანალ „HBO“-ს ხელმძღვანელი როს გრინბერგი იმედოვნებს, რომ ამ წელს კრივის ორგანიზაციები ერთმანეთთან შეთანხმებენან მსოფლიოს ამსოლუტური ჩემპიონის ტიტულის გამოსავლენად გამართიანებელი ტურნირის ჩატარებაზე.

„ამჯამინდელობისათვის აფეცილებელია იმის ცოდნა თუ, ვინ არის პრიფესიული კრივში მსოფლიოს ამსოლუტური ჩემპიონი“, – ამბობს გრინბერგი.

ვიმალი კლიჩკო: „ომიდან ბრძოლას გაზაფხულზე გაველაშქრებ“

ვბრძ-ს ვერსიით მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო მომდევნო ბრძოლას ვაპირებს გაზაფხულზე ამერეს. უკრაინელი მოკრივეს თქმით, მისი მეტოქე მოკრივეთა რეიტინგის საუკეთესო ათეულის ერთ-ერთ ადგილზე იქნება. ეს იქნება კლიჩკოს ვენერალური რეპეტიცია ოქლისში დანიშნულ რახმანთან ბრძოლის წინ.

ომიდან ბრძოლას გაზაფხულზე გაველაშქრებ“



პროსპორდი

ჯვარედინი სიტყვა

ართაზულად: 1. საქართველოს პრეზიდენტი, 8. ცნობილი თანამედროვე ფეგრული მოჭადაყე ვაჟი, 9. ერთგვარი დარტყმა კრივში, 10. მოთელილი ჭერა, წამოსასხამი, 12. მდინარე საქართველოში, ფერთხება მტკვარს, 13. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი, 14. ვეტერანი ლეგენდარული ნორვეგიელი მოთხილამურე, 15. ბათუმის მინიფეხბურთელთა გუნდი, 19. ვეტერანი ქართველი ვაჟი მძლეოსანი, 1952 წლის ოლ. თამაშების პრიზიორი, 20. მდელოს წინა მხარე, 22. საატომობილო შეჯიბრება გრძელ მანძილზე, 23. ტანვარჯიშელი იარაღი, 24. ბილიარდის ჯოხი.

შვიფულად: 2. ჰანტელი, ანუ... 3. ლეგენდარული რუსი მოჭიდაე, 4. არასპორტულ შეჯიბრებაში შთამ ჩოჩვიელის იაპონელი მებოქე, 5. ქეელი ბერძენი, ანუ... 6. ქართველი სატენნისე მწვრთნელი, 7. ავსტრიის სატენნისე. კლუბი, 11. წარსულში ცნობილი მოკრივე მშვილის გვარი, 13. ქართველი ვეტერანი სპორტული ჭალი ტელეკეტრანალისტი, 16. მშვილდით სასროლი, 17. ნბა-ს ერთ-ერთი ვარსკვლავი, 18. მთა თბილისთან ახლოს, 21. კარატეს ტერმინი.

მოამზადა ნოდარ ჯაჯუაძემ.

„ლელოს“ 2004 წლის ბოლო ნომრის კროსვორდის პასუხები

ართაზულად: 1. ესპანეთი, 7. შეხვედრა, 9. კორტი, 10. „ლელო“, 11. „თბა“, 12. მთა, 14. „ახალი“, 15. ცრილი, 16. ოფსა, 20. „ბიელსა“, 21. სახტანნი, 22 სუდ, 23. ბარკალა, 24. „რიდი“. **შვიფულად:** 2. პარტია, 3. „თორპი“, 4. სტეტი, 5. ალი, 6. სააა, 8. „ფალთასართი“, 9. ცრაშნაკი, 10. „ბასტია“, 13. მცვლელი, 17. რუსი, 18. კაკა, 18ა. პასი, 19. ტრპი, 20. ბოდ

საჭადრაკო პრობლემა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



შავმატი 3 სვლაში

№104-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლხ1!

1. ..... ფფ6 2. ლხ5X, 1. ..... ფფ6 2. ლf5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com